



გაზეთი გახლავთ 1999 წლიდან

ქართულების გადარჩენა

ეროვნული
ბიულეტენი

ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru



№390 (449) 6-13 დეკემბერი 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო ფასი 50 თეთრი
სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ვნა – ააჟი პანიკა

ჰაელაბ ჭიპაშვილი: ფიცი ვნაჲს — ბოლო მაკვირვებს

88.2

მამანტი ქაქაშია: შევაჩართო სოფლის მოსახლეობის მასობრივად ყვებად და მონებად გადაქცევისა და ბაპროლეტარების პროცესი, ქართველი ერის ზენსრაფი გადაშენების პროცესი

88.3




ფორენა ლაბაძე: ტერენტი ბრანელის უცნაური სიყვარული და ნივდგასრუება

88.5

სერბი საჯარო: როდესაც „ბულაჩუყება“ სირებვნეში ჩასაღბურებით დალატისკენ იბილიკებს სვლაბებს

88.4



ზაზა სიაშაშვილი: იქნებ ბატონი ირაკლი დავაამკვიდროთ მთაწმინდის კანთეონში

88.7



უმთა ხაბარელი: ბიორბი ბახარიას საქმიანობა ქალიან ნარმატებული იქნება

88.7

დავით ოქიბაშვილი: საქართველოს კულტურის კალატა აფსაზეთში ჩასვლას ვებგეგვით

88.7



აღბილის დაღა, ანუ პოლიციის შენობა მემორიალად უნდა გადაკეთდეს!

88.6



ფოტოგრაფი გიორგი აბდალაძე facebook-ის საკუთარ გვერდზე აქვეყნებს პარლამენტის სხდომაზე გადაღებულ ორ ფოტოს, რომლებზეც ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან აღბეჭდილნი.
„ისტორიკაშია ნაცების ბანდა...“ – ასეთ კომენტარი აქვს ფოტოებს.

“უნაღაზრდებს კატა თავდაღმა დაეკიღებინათ და თავს აჭრიდნენ” — რა ნახა პოლიციელმა პარღების მოედნის სარდაფებში?

88.6



ფიცი მჭამს – ბოლო მაკვირვებს



ისე, როგორც ყოველთვის – 25 წლის განმავლობაში ქართული პრესის უდიდესი უმრავლესობა იმ ანტირუსული ფსიქოზით ცხოვრობს ე.წ. ეროვნული ხელისუფლების დროს რომ მიეცა ფართო გასაქანი. საკმარისია რაღაც ითქვას საქართველოზე (კარგი თუ ცუდი). უმაღლესი რეაქციის იწვევს ქართულ ჟურნალისტიკაში, ცხადია ნეგატიურს, თუნდაც დადებითად ვიყოთ მოხსენიებული. აღნიშნულის დემონსტრაციაა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 22 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული ჟურნალისტ მანანა ნოზაძის სტატია „სადაც რუსი ცხოვრობს, იქ ყველგან არ არის ნოვოროსია!“

„რუსეთი კალაშნიკოვის ენით საუბარს განაგრძობს. სულ ასლანხანს რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-ს საქმეების კომიტეტის ხელმძღვანელმა ლეონიდ კალაშნიკოვმა განაცხადა, რომ მოლდოვას ტერიტორიული კონფლიქტის გადაწყვეტა შეიძლება მაგალითი გამოდგეს უკრაინისა და საქართველოსთვის.“

საკითხი ხდება მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. კალაშნიკოვის აზრით, თუ მოლდოვა გადაწყვეტს კონფედერაციული სახელმწიფო სისტემის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს დნესტრისპირეთის მოლდოვას შემადგენლობაში დაბრუნებას, ეს მაგალითი შეიძლება იყოს უკრაინა-საქართველოს ტერიტორიული საკითხების მოგვარებისთვის.

უდავოდ ქურდსადგები განცხადებაა ხავეს მოჭიდებული წყალწადებულე-ბისთვის (უკრაინა-საქართველო), თუმცა საკითხავია – თვით მათ სურთ აღნიშნულის მოგვარება?!

კითხვას მოუფიქრებლად არ ვსვამ, რეალობა და საკუთარი გამოცდილება მიკარნახებს ამას. 2003 წლის „გარდების რეგულაციამდე“, წლების განმავლობაში, სისტემური შეხვედრები იმართებოდა საქართველო-აფხაზეთის პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის ავსტრიულ გერმანიაში. შეხვედრების ორგანიზატორები ინგლისელი და გერმანელი არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ. შეხვედრებში მონაწილე 7-7 წარმომადგენელი, მშვიდ ვითარებაში ვარკვედით რა გზა ავკერჩია შესარიგებლად. 2003 წლის შეხვედრის დროს კონკრეტული გეგმაც დაისახა, რომელსაც ხელისუფლებამ უდავოდ ზერელე ინტერესი, უფრო ზუსტად უინტერესობა შეაგება, რამაც მაფიქრებინა ის, რაც ზემოთ ვთქვი.

შემდეგ ვითარება კარდინალურად შეიცვალა. თუ რა მივიღეთ „გარდების რეგულაციით“, ყველასთვის ცნობილია. ნატო-ს რის ვიდეგლახით შეკონსტიტუციონდობის ხიდი და ქართულ-აფხაზეთი ურთიერთობები ადრინდელ ნიხურ მდგომარეობას დაუბრუნდა. 2008 წლის ავგისტომ კი მსუყვე წერტილი დაუსვა ქართულ-აფხაზეთ კავშირებს, მითუმეტეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თემას. აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, ცხადია არა ყველას მიერ აღიარებული, მაგრამ განდევნილებისთვის მთავარი, რუსეთის აღიარება.

2008 წელმა ცივი წყალი გადაასხა 2003 წლის მოლაპარაკების შედეგებსაც და ქართველთა და აფხაზეთის ურთიერთობას, ერთ ქვეყანაში თანაცხოვრებას – ფედერაციული თუ კონფედერაციული სახელმწიფო სისტემის ფარგლებში.

არის თუ არა მცირედი შანსი იმისა, ვილაპარაკოთ ქართველთა და აფხაზეთა ერთიანი სახელმწიფოს შექმნაზე ანუ იმ ვითარების დაბრუნებაზე, რასაც 2008 წლის ომამდე ჰქონდა ადგილი? მიუხედავად ოპტიმიზმისა, პირდაპირ ვიტყვი – არა! და ამას ვერც კალაშნიკოვის ვარაუდი უშველის და ვერც პუტინის. როგორც ერთხელ პუტინმა განაცხადა – რუსეთი ამ საკითხს (აფხაზეთის დაბრუნებას) ვერ გადაწყვეტს, თუ აფხაზეთა მხრიდან ამის სურვილი არ იქნება.

და მართლაც, როგორ წარმოუდგენიათ საქართველოს პოლიტიკოსებს აფხაზეთის, საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება? ალბათ ასე – იტყვის პუტინი და მეორე დღესვე საქართველო-რუსეთის საზღვარი ფსოზე აღდგება! მსგავსი, მე-20-ე საუკუნის მეორე ნახევარშიც არ ხდებოდა, მითუმეტეს 21-ე საუკუნის მეორე დეკადაში. უმაღლესი შემადგენლობა და მაგალითად ყირიმს მოიყვანენ, რაც უკბილო იქნება, ვინაიდან ყირიმმა რეფერენდუმი ჩაატარა და იქ მცხოვრებმა რუსმა უმრავლესობამ მხარი ჯერ დამოუკიდებლობას, ხოლო შემდეგ რუსეთთან შეერთებას დაუჭირა.

აფხაზეთში, ერთ დროს უმრავლესობაში მყოფი ქართული მოსახლეობა, უმცირესობაშია. იქაურები, დღეს აქ ცხოვრობენ, თავიანთი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებით, რომელთა გადაწყვეტილება „ნამდვილი“ აფხაზეთისთვის ნულის ტოლია ისე, როგორც იმ ყოფილი თუ დღევანდელი პოლიტიკოსების და ექსპერტების, რომლებიც ქართველთა და აფხაზეთა ერთიან სახელმწიფოზე ლაპარაკობენ.

ვეჭვობ, რომ კალაშნიკოვის განცხადებამ აღფრთოვანება გამოიწვიოს აფხაზეთში. აი, 2003 წლამდე რომ ჰქონდა მსგავსს ადგილი, უდავოდ გამოიწვევდა. მაშინ აფხაზეთი ფედერაციულ-კონფედერაციას ითხოვდნენ და რომ ყოფილიყო ცენტრალური ხელისუფლების აზრიანი მოქმედება, დღეს საქართველოს განდევნილი ყოფილი ავტონომიები არ ექნებოდა.

კალაშნიკოვის განცხადება არ არის ხელწამოხარბი, მაგრამ აფხაზეთის საკითხი რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრეზიდენტისა და მას სურვილი წარმართავს. ის სისტემურად ჩადის აფხაზეთში. დრმადაა ჩახედული ე.წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს საქმეებში. კალაშნიკოვის ნაცვლად სურკოვს რომ გაეკეთებინა განცხადება, სხვა იქნებოდა, მაგრამ, როგორც რუსები ამბობენ – „უთევზობის დროს, კიბორჩხალაც თევზია“. და ნაცვლად კრიტიკისა, დაფიქრების, აწონ-დაწონის შემდეგ შეიძლება პასუხის გაცემა.

ჩვენ კი – რას ვაკეთებთ? ტაშს ვუკრავთ ნოდარ ნათაძის მოსაზრებას, რომელიც გამორიცხავს ფედერაციულ-კონფედერაციას. პატივცემულ ნოდარს მხარდამჭერებიც პყავს ყოფილ პარლამენტართა სახით, რომლებიც აცხადებენ, რომ „ფედერალური სახელმწიფოს მოწყობა ანუ სახელმწიფოს იურიდიულად და პოლიტიკურად დაყოფა ორ ან მეტ ტერიტორიულ ერთეულად, რომელთაც საკუთარი პოლიტიკური ნება და შესაბამისი უფლებამოსილებები პარალიზებას ნიშნავს“.

კვითხულბო ამ „შედეგს“ და თავი შუა საუკუნეებში მგონია, არადა გარეთ 2016 წლის მიწურულია. გერმანიაც და შვეიცარიაც დაშლილ-დაქუცმაცებული მენვენება ამის წაკითხვის შემდეგ და თუ დღეს გადაურჩნენ დაშლას, ხვალ აღარაფერი ეშველებათ.

2008 წლის ავგისტოდან აფხაზეთი „დამოუკიდებელია“ და მას არავითარი სურვილი არ აქვს ქართველთა უდავო-კონფედერაციულ ილაპარაკოს. მეგობრებო! გამოფხიზლდით, 2016 წლის ბოლოა. აფხაზეთი კარგა ხნის წასულია

და თუ შემობრუნდა ფედერაციულ-კონფედერაციით – ერთ ადგილას უნდა ვკოცნოთ. ჩვენ კი რას ვაკეთებთ?

ისტორიის ვიხსენებთ: „ქართველმა ერმა ჯერ კიდევ 2500 წლის წინ შეგნებულად უარყო საკუთარი თავის დაქუცმაცება კუთხურობის პრინციპით. ქუჯი ერისთავმა თავისი დინასტიის ძალაუფლებაც დათმო და საკუთარი საბატონო მეფე ფარნავაზს დაუქვემდებარა“.

ნათამე ამბობს, რომ „კალაშნიკოვი ცრუობს, როცა მოლდოვას მაგალითს ადარებს საქართველოს. რეალურად კი, საქართველო არის უნიტარული, ერთიანი ქვეყანა, როგორც ისტორიულად, ისე დღესაც და საქართველოში შემოსულ სხვა ხალხებს (თათრებს, სომხებს, თურქული მოდემის აზერბაიჯანელებს და სხვებს) ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის უფლება არ აქვთ“.

ამაზე იტყვიან – ფიცი მჭამს, ბოლო მაკვირვებს. საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას ვერაფრით დავარქმევთ უნიტარულს – გარდა ერთისა, თუ ჩვენ თვითონ არ ვაღიარებთ ყოფილი ავტონომიების საქართველოს საზღვრებსგარეთ არსებობას. მხოლოდ მაშინ შეიძლება დარჩენილი საქართველო უნიტარულად მოვიხსენიოთ, თუმცა რა გუყვით აჭარის ავტონომიას?

ვიმეორებ, გარეთ 20016 წლის მიწურულია, შესაბამისი აზროვნებით, ხალხთა შორის ურთიერთობებით, გაერთიან, ევროკავშირით, ევროსაბჭოთი, მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციით და სამწუხაროდ ყველაფერ ამასთან შეუფერებელი ჩვენი მენტალიტეტი. ასეთ აზროვნებას გაუჭირდება ქვეყნის უსერიოზულესი საკითხის დროის შესაბამისად ვააზრება, ადეკვატური რეაქციის გამოვლინება.

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს ისტორიას, უნიტარულობა ყოველთვის ავებდა სამთავროებად დაყოფასთან. თუნდაც საბჭოთა პერიოდში სახელმწიფოებრივი მოწყობა (სამი ავტონომიური ერთეული – აფხაზეთის და

აჭარის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი) უფრო ფედერალურობას ნიშნავდა, ვიდრე უნიტარულობას.

ქურნალისტის მასალიდან სხვა „მარგალიტების“ მოყვანაც შეიძლება, მაგრამ აღნიშნული კმარა, თუმცა კიდევ ერთ ამონარიდს გთავაზობთ. „ჩენთვის ომი იყო განმანთავისუფლებული ომი, აფხაზეთის ომი კი იყო რუსების მხრიდან დაპყრობითი ომი ავტოქტონური ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ“, – აცხადებს ნათამე.

ჩენთვის ომს კარგა ხანია „განმანთავისუფლებელს“ არავინ არქმევს. მხედველობაში არა რუსი, არამედ დასავლელი სპეციალისტები მყავს, ხოლო რაც შეეხება „რუსეთის მხრიდან დაპყრობით ომს ავტოქტონური ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ“ – ესეც მსოფლიოს მიერ კარგა ხნის წინათ დადგენილი ფაქტია.

გავიმეორებ – 2008 წლის ომი საქართველოს გონგამოცლილმა ხელისუფლებამ წამოიწყო და როგორც აგრესორმა, შესაბამისი დამარცხება იტემა. მოგვწონს თუ არა ეს – ფაქტია. რაც უფრო მალე ვაღიარებთ ამას და ომის გამწაღებლს მიეცემთ სამართალში, მით უკეთესი მისი წყალობით შეკვეცილი საქართველოსთვის.

მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველები სხვა მენტალიტეტისანი ვართ – არაფრით გვინდა ჩადენილი დანაშაულის აღიარება და სულ მუდამ სხვას ვადანაშაულებთ – ამ შემთხვევაში რუსეთს, რომელმაც საკმაოდ ბევრი იღვაწა (ისტორიულად) რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისთვის.

მისასალმებელია გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“-ს ინიციატივა მეზობელ თურქეთთან დაკავშირებული მასალის გამოქვეყნებისთვის, რომელსაც წინ უძღვის ისტორიული ფაქტი შემდეგი შინაარსისა: „მეთექვსმეტე საუკუნეში სამხრეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი, ტაო-კლარჯეთი და მესხეთ-ჯავახეთი, ასევე აჭარაც ოსმალეთმა დაიპყრო და „გურჯისტანის ვილაეთი“ უწოდეს.“

ამ ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ რუსეთის იმპერიის დახმარების შედეგად გახდა შესაძლებელი. პირველად 1828 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და საქართველოს დაუბრუნდა ძველი მესხეთისა და ჯავახეთის ნაწილები: ქობლანის, აბასთუმანის, ახალციხის, აწყვერის, ასპინძის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჭაჭარაქის, ფოცხოვის, აბოცი ანუ ძველი სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო და ერუშეთი. 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, პარიზის ზავით შემოერთებული იქნა მესხეთის მეორე ნაწილი: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტანის და ოლთისი“.

ხეიმომოყვანილი ისტორიული ფაქტი, რომელსაც „გულმაგიწობის“ გამო ნაკლებად იხსენებენ ქართველი „სპეციალისტები“, უმაღლესობის გამოხატულებაა, რაც შეეხება ნათაძის მოსაზრებას – ისტორიული ფაქტების დამახინჯების მცდელობაა. ასეთი ისტორიის მოქმედ ქვეყანას ვერაფრით დავარქმევთ „უნიტარულს“.

დაუბრუნდეთ დღევანდელობას და კალაშნიკოვის განცხადებას მოლდოვას მაგალითის (თუკი გამოვა) უკრაინა-საქართველოზე გავრცელებასთან დაკავშირებით. რომ იტყვიან – ცდა ბედის მონახვერვაო, ვეცადოთ – ჩვენ ხომ მეტი არაფერი დავგრჩენია – იქნებ რაღაც გამოვიდეს. ბოლოსდაბოლოს დიალოგი ხომ აღდგება? ესეც დიდი საქმეა – წლების ბუტიაობის შემდეგ.

დღეს, მსოფლიოში დიდი ძვრებია, განსაკუთრებით რუსეთის მიმართულებით, რაც ჩვენთვისაც გასათვალისწინებელია. ამ ქვეყანასთან პოლიტიკური დიალოგი თუ დაკარგულს ვერ დაგვიბრუნებს, დაახლოებას მინც შეიძლება, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია დამის მტრად ქცეული ქვეყნებისთვის. და თუ ამას მივაღწევთ, მერე იქნებ სხვასაც გამოვკრათ ხელი?

კამლატ ჰიკაშვილი, პოლიტოლოგი



სახალხო მოძრაობა სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაცია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ 70 წლის ასაკში გარდაიცვალა ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი და დევნილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი

ბაგონი ვალტერ შურაია...

უფალმა გაანათლოს მისი სული...



მონობა იყო ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული პირველი საპროტესტო, რომელმაც ფართო საერთაშორისო ბაზოზე გამოხატა კრიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბოლო მას, საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე მანინც დგას მონობის მსგავსი ფაქტები. სამწუხაროდ, ოცდახუთე საუკუნეში კვლავ ხდება ადამიანის უფლებათა დარღვევა ამ თვალსაზრისით. მანფრედ ნოვაკის დახასიათებით, მონობა არის „ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანზე განხორციელებული კალაღობის უკიდურესი გამოხატულება, რაც წარმოადგენს უშუალო თავდასხმას ადამიანის პიროვნებასა და მის ღირსებაზე“. ბაერთიანეზული ენების ორგანიზაციის წესდება და ადამიანის უფლებათა დაცვის დოკუმენტები კრძალავს ადამიანის ღირსებისა და თავმოყვარეობის ნებისმიერ შელახვას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახის მონური შრომის ტრადიციული ფორმები გაუქმდა, არსებობს მისი ბევრი თანამედროვე ფორმა – მონობა ვალის გამო, ძალისა და ბავშვების ტრეფიკინგი და ექსპლუატაცია – რაც წარმოადგენს მონობის ანალოგიურ ფორმას და რასაც საერთაშორისო საზოგადოება გმობს. სწორედ ამ სამწუხარო პრობლემებს ეძღვნება ცნობილი ენათმეცნიერისა და საგნობრივ დიდი პატიროტის ბატონ მამანტი ძაბამიას წერილი:

შეპირვით სოფლის მოსახლეობის მასობრივად ყვება და მონებად გადაქცევისა და გაპროლაზარების პროცესი, ქართული ერის ზენსრაფი გადაუწევის პროცესი

დიდ წერილი
საპროტესტო პრემიერ-მინისტრის
ბატონ ბიორბი კვიციანიშვილის
საპროტესტო ახალარწიულ
პარლამენტს და მის თანამდებობაზე
ბატონ ირაკლი კობახიძეს

უწინარეს ყოვლის, გილოცავთ არჩევას და გისურვებთ ქართველი ხალხის, სრულიად საქართველოს მოსახლეობის ნდობის გამართლებას, წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში.

გამოვთქვამ იმედს, რომ გაუმკლავდებით უხეივთა ადვირახსნილ თავდასხმებსა და მისწრაფებებს და ბეჯითად და იბრუნებთ იმისათვის, რომ ამიერიდან წარსულის მოგონებად დარჩეს ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებული სიღუჭიერე, შფოთი და განუყოფლობა.

ძალიან მოკლედ გაგიზიარებთ, ჩემი, როგორც სოფლად მცხოვრები ერთ-ერთი რიგითი მოქალაქის ხედვებს ახლო წარსულის, დღევანდლობის თუ მომავლის შესახებ და გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ იგი.

მოგეხსენებათ, რომ ბრძოლა არსებობისათვის ბუნების ერთ-ერთი კანონზომიერებაა. იგი ყოველი ცოცხალი არსებისთვისაა. ამ ბრძოლაში, ცხადია, იმარჯვებენ უძლიერესები. ამის გამო, მაგალითად, მცენარეების უამრავი აღმონაცენიდან ერთეულები ხარობენ და ღაღობენ.

დასაბამიდან ასე იყო: მძლავრობდნენ ფიზიკურად და გონებრივად შედარებით ძლიერი ადამიანები და იმორჩილებდნენ ნაკლებად ძლიერებს. ამ პროცესს მოჰყვა საზოგადოებრივი ფორმაციების ცვლა ველური მდგომარეობიდან, პირველყოფილ-თემური, მონათმფლობელური, ბატონმური, კაპიტალისტური თუ სოციალისტური წყობილების ჩათვლით. ცხადია, თითოეული მათგანი, წინამავალთან შედარებით, პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ ყველას ახასიათებდა საკუთარი მანკიერებანიც. უმთავრესი მანკიერება კი იყო საზოგადოების პოლარიზაცია, დაყოფა მზავრულ და ჩაგრულ კლასებად, მდიდრებად და ღარიბ-ღატაკებად. ამ პროცესმა, ჩანს, კულმინაციას ამ უკანასკნელ პერიოდში მიაღწია. ამის დასტურია გაზეთებიდან ცნობილი ის ფაქტი, რომ 2015 წლის მონაცემებით მსოფლიოს მოსახლეობის მთელი ქონების ნახევარზე მეტი განეკუთვნება მილიონერებსა და მილიარდერებს. ასეულ მილიონობით ადამიანები კი შიმშილობენ. აი, სანამდღა მისული ადამიანური სიხარბე და გულქვობა. ვინაიდან, მაძარს შშიერიც მაძლარი ჰგონია.

ცხადია, ადამიანებმა საკუთარი თავი თავად უნდა ირჩინონ. მაგრამ როგორ?

ასე თუ ისე, ირჩენდნენ ადამიანები საკუთარ თავს ე. წ. „ავადმოსაგონარი“ სოციალისტების სინამდვილეში. ვინაიდან დაუსაქმებელი თითქმის არავინ მოიძებნებოდა. თუ როგორ მოხდა სოციალისტების დანგრევა, ყველამ ვიცით. აღენ დაღესის თეორიით დაპროგრამებული ადამიანების სულსწრაფობამ განაპირობა სოციალისტური წარმოებით ურთიერ-ობების სწრაფად დაშლა და ე. წ. „საბაზრო ეკონომიკაზე“ გადასვლა. ელვის სისწრაფით მიითვისეს, ერთეულებმა ქვეყნის მთელი ვალუტაც და უძრავ-მომრავი ქონებაც. ხალხი დარჩა ცარიელ-

ტარიელზე (ეუპონების შემომჩენებელ რომან გოციონიძეს კი დღესაც ჰყოფნის თავხედობა, ჭკუა ასწავლოს ქართველ ხალხს და მის ახალ ხელისუფლებას).

დიახ, ასე გადავედით „სანუგვარ“ საბაზრო ეკონომიკაზე, სინამდვილეში, – უკიდურესად ბარბაროსულ კაპიტალიზმზე. ასეთ პირობებში, განა ცვლის რამეს ის ფაქტი, რომ სასკოლო პროგრამებიდან ამოღებულია „გოგია უიშივილი“, „როგორ მოკვდა მოხუცი მეზღურის“, „ბიბია თომას ქონისა“ და მისთანა სწავლება? ცხადია, არა! ჩატეხილი ხიდი უფრო დიდია და უფსკრულიც უფრო თვალუწვდენელი, ვიდრე ეს ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქერივის მთავარ მოქმედ პირებს შორისაა ნაჩვენები.

რა დასამალია: ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი დაუსაქმებელია, უხელფასო-უშემოსავლია.

ყველაზე მეტად განიძარცვა სოფლის მოსახლეობა. ქალაქებში ხალხს ბინები მაინც დაუტოვეს და საკუთრებად დაუმტკიცეს. დროებითი სამუშაოს ძებნაც აქ შედარებით იოლია. სოფლის მოსახლეობა კი სარჩო-საბადებლის მოპოვების საშუალებას მოკლებული აღმოჩნდა. შედარება ასეთია:

სოციალისტების პირობებში, მართალია, გლეხობასაც ჩამორთვეს მიწების უდიდესი ნაწილი, მაგრამ იგი მათვე გადასცეს კოლექტიური სარგებლობის სახით, მალე კოლმეურნეობები მომძლავრდნენ, მილიონერებადაც კი იქცნენ და სოფლის მოსახლეობა თავს საკმარისად ირჩენდა. ასეთ პირობებში, გლეხებს საკარმიდამო მიწის სახით ურჩებოდათ 1,25 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი, ცხადია. დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მის პოლიტიბუროსაც კი არ შეეძლო განეკარგა საზოგადოებრივი და კერძო საკუთრების თუნდაც 1 კვადრატული მეტრი მიწა ან 1 მანეთის ღირებულების სხვა ქონება. მას მხოლოდ შესაბამისი მესაკუთრე განეკარგავდა. ეს კონსტიტუციით იყო დადგენილი.

ედუარდ შევარდნაძის ზეობისას, მოსახლეობისთვის დარიცხული ე. წ. ვაუჩერი 1 კვირის სარჩოც არ იყო, თუმცა, მალე ისიც ააცადეს ხელიდან, მძარცველებმა.

მ. სააკაშვილმა და მისმა ბანდამ, უბოდიშოდ წაართვა სოფლის მოსახლეობას უმთავრესი საარსებო საშუალება – მიწა, რომელიც მას ჯერ კიდევ ბატონ-ყმობის დროს ჰქონდა ნაყიდი ოქროსა და ვერცხლის ფულზე. შემდეგში გაერთიანებული ჰქონდა საკოლმეურნეო მიწების სახით და რომლითაც ირჩენდა თავს. საამისოდ შექმნეს ე. წ. „კოოპერატივები“, ყოფილი კოლმეურნეობის ბაზაზე. მასვე დაუტოვეს კოლმეურნეობის მთელი ქონება, ცხადია, გასანიავებლად. ამასთან, დაუწესეს გადასახადები, მაგრამ მისი გადახდა, შეგნებულად, არავისთვის მოუთხოვიათ. მალე საკოლმეურნეო ქონება ერთეულმა ადამიანებმა მიითვისეს, რისი განადგურებაც შეიძლებოდა, განადგურდა. კოლმეურნეობების წვერებისთვის ერთი ავურის საფასურიც არავის მიუცია, არაფერი გაუნაწილებიათ. გატყუებულ ან სულაც განადგურდა მრავალწლიანი კულტურები. კოოპერატივის გადასახადმა კი გადააჭარბა კიდევ დარჩენილ ქონებას. და სწორედ ასეთ დროს მოსთხოვეს მათ

თავეცემს ვალის გადახდა, არადა, დაჭკრით დაემუქრნენ. ამ ხერხით დააწერინეს მათ არჩატარებული კოოპერატივის წვერთა საერთო კრებების ოქმები, რომელთა მიხედვით თითქოსდა კოოპერატივების წვერებმა მიიღეს გადაწყვეტილება მათი მიწების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. ასე ჩაიბარეს, „კანონიერად“, სოფლის მოსახლეობის კუთვნილი მიწები. გლეხს კი დაუტოვეს მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთის სახით არსებული 1,25 ჰა-მდე მიწა. ეს მაშინ, როდესაც, 1 ჰა მიწა, საძოვრის სახით, ზოლტეკნიკური ნორმებით, 1 სული ძროხისთვის არის განკუთვნილი.

ასე განახორციელეს საუკუნის დანაშაული გარეწრებმა. ბლეფი აღმოჩნდა ხელისუფლების არაერთგზის დაპირება მიწების პრივატიზაციის შესახებ. მიწები კი გაყიდეს, მაგრამ ჩუმად, მათ ზურგს უკან, – მიჰყიდეს არა თავად გლეხებს, სოფლის მოსახლეობას, არამედ იტალიელებს და სხვა უცხოელებს, ან კიდევ, ერთეულ ადგილობრივ ბოზოლებს, თანაც ისე, რომ სოფლების მონაღვლესობისათვის 1 ჰა საძოვარიც კი არ დაუტოვებიათ.

იბღავლეს ძროხებმა, რომლებმაც დაინახეს რაც დაემართათ, მაგრამ გაისუსნენ სოფლად მცხოვრები ის ადამიანები, რომლებიც დღემდე ვერ მიმხვდარან, რაცა სჭირთ.


კანონპროექტი, მიწების დარეგისტრირების შესახებ, რაც ამ რამდენიმე ხნის წინათ გაზეთში გამოქვეყნდა, სრულიად შეუსაბამო იყო. მისი დაკანონება, პრაქტიკულად, სოფლად მცხოვრებლების უმიწაყლოდ, უსამშობლოდ და უპატრონოდ დატოვებას მოასწავებდა, რაც ჩვენ, თავის დროზე, ასევედ შევაფასეთ იუსტიციის მინისტრისადმი მიწერილ წერილში. მადლობა დმერთს, რომ ეს კანონპროექტი არ დამტკიცებულა. ქალბატონმა თეა წულუკიანმა კი ტელევიზიით გვაუწყა, რომ მიწების დარეგისტრირება მოხდებოდა

სოფლად მცხოვრებთა სასარგებლოდ. მის აღსრულებას დღემდე ველოდებით. მაგრამ, უკანასკნელ პერიოდში დაირხა ხმა, რომ სოფლად მცხოვრებლებს დაურეგისტრირდებათ უფასოდ 1,25 ჰა მიწა 1 კომლზე. დანარჩენი კი, სარგებლობაშიც რომ ჰქონდეთ, მაინც მიყიდებათ 4000 დოლარად. ამასთან, დაეწერებათ 400 ლარი გადასახადი 1 ჰა მიწაზე. თუ ეს ასე მოხდება, მიწების თითქმის მთელ რაოდენობას შეიძენენ მხოლოდ ერთეული მილიონერები, დანარჩენი მოსახლეობა კი განწირული იქნება ყმებად და მონებად გადაქცევისა და გაპროლეტარებისათვის. იგი მოასწავებს სოფლების დაცლას მოსახლეობისაგან და ქალაქებში ღუმეპროლეტარიატის მასების გაჩენას, მთელი თავისი მოსალოდნელი კატასტროფული შედეგებით.

ჩვენის აზრით, სოფლად მცხოვრებ კომლებს უფასოდ უნდა დაურეგისტრირდეთ 3-5 ჰა მიწა და მასზე გადასახადიც არ უნდა დაუწესდეს, ამაზე მეტი მიწის ფლობის მშურველებს კი მიწა შეიძლება მიყიდეთ დაბალ ფასებში და დაბალი გადასახადების დაწესებით. ეს შექმნის სოფლად ცხოვრების მინიმალურ პირობებს და ხელს შეუწყობს საშუალო ფენის მოსახლეობის შექმნას, შექმნის სოფლად მცხოვრებთა მიერ საკუთარი თავის რჩენის გარკვეულ პირობებს, ურთმისოდაც არც სოფლებისა და არც ქალაქების არსებობაზე წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

შევაჩეროთ პატივცემულეობ, სოფლის მოსახლეობის უმიწაყლოდ, უსამშობლოდ და უპატრონოდ დატოვების გამაღებელი პროცესი, რაც ფსევდოპატრიოტმა ნაციონალისტებმა და მისთანებმა დაამკვიდრეს. ამით, თუ არ შევაჩერებთ, გარკვეულწილად შევაფერებთ და შევანელებთ მაინც ქართველი ერის გადაშენების მათ მიერვე დამკვიდრებულ კურსს, თუმცა, ამაზე მომდევნო წერილში უფრო კონკრეტულად მოგახსენებთ.

პატივისცემით,
მამანტი ძაბამია



როდესაც „ბულაჩუკა“ სირებზე იხსნება და სხვა სახის მსგავსებით დასახლებული იბილიკებს სვლავს

ანუ უგუნურების თარეში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკითხებში

ცხადია, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) „აფხაზეთ“-ური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნამდე ამ მხარეში ცხოვრობდა აფხაზი მოსახლეობა, რომელიც ყოველთვის როდი იყო შემოხიზნული სახლიკაციური მიხნით, თუმცა, დროთა განმავლობაში, ქართველთა შინა-დროსა და ვაშინერის წესრიგიდან გამომდინარე, აქ ჩამოყალიბდა მორღობა-ბუქუბ-ტეობისა და სახლიკაციობის რჯულიერება. შემდეგ და შემდეგ ასეთი სიცხადე, როგორც ღირებულება, სისხლადღერეულობისა და შეუგინებლობის რაობად დადგინდა.

ამ მხრივ ყველას გახსოვთ დიდი ქართველი მწერლის ლეო ქიანელის მოთხრობა (იამბე) „ჰაკი აბა“.

მას საფუძვლად უდევს ქ. სოხუმიში მომხდარი ჩრდილო აბაზი, კერძოდ, ბოლშევიკთა რევოლუციური კრეისერის შემოჭრა დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრებში, რომლის დროსაც აფხაზ (ქართველ) ოფიცერ უჯუშ ემხას (ემხვარს) შემოაკვდა სოხუმის ბულვარზე მოთავსებულ წითელარმიელთა კრეისერის კაპიტანმა კუხმა მრისხანემ ქ. სოხუმის ხელისუფლებას მოსთხოვა, უჯუშ ემხას თავისი ნებით სასწრაფოდ გადაეცა მათთვის, თორემ მიწასთან გაასწორებდა ქალაქს. უჯუშმა თავად წარსდგა კუხმა მრისხანეს წინაშე.

როგორც კი ეს გაიგო, მისმა ბუქუბემ, ჰაკი აბამ – აფხაზი კაცმა, თავის მხრივ, ისიც ნებაყოფლობით წარუდგა კუხმა მრისხანის უსუღერლობას და სცადა ძიძიშვილის მაგევერად თვითონ დაებრალებინა მკვლელობა, მაგრამ არ დაუჯერეს. უჯუშმა დახვრიტეს ამის შემსწრე ჰაკიმ სიცოცხლე თვით მკვლელობით დაამთავრა, ანუ თავი არ იცოცხლა უჯუშის დამკარგებმა.

ასეთია სინამდვილე, რომელიც მე ძირძველი სოხუმელი საზოგადო მოღვაწისგან – პროკლე თურქიასგანაც მაქვს მოსმენილი, იგი იმხანად ჭაბუკი, თავად შეესწრო ამ გაწამაწას.

უჯუშ ემხასა და ჰაკი აბას ურთიერთობა გახლავთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) აფხაზსა და აფხაზს შორის წლების განმავლობაში დამკვიდრებული სახალხო ყოველდღიურიობა.

ბუნებრივია, ცხოვრება ცხოვრებაა, აფხაზს და აფხაზს შორისაც იქნებოდა უთანხმოება, დამდურებაც და ა. შ. მაგრამ ამის მიზეზი, ძირითადად ყოფით გაუგებრობას არ გასცდენია..

ის სინამდვილე, რომელიც აღწერილია ლ. ქიანელის „ჰაკი აბაში“, როგორც მოგახსენეთ, შეუღამაზებელი სურათია იმ სახეზოგადობის, რაც გარკვეულ დრომდე ქართველ (აფხაზ) – აფხაზთა ურთიერთობად შინაარსდებოდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში).

სამწუხაროდ, დღეს სხვა სიცხადე, გვაქვს, რომელსაც თავისი მიზეზი ჰქონდა – ვცადოთ და ეს მიზეზი ისევ ჰაკის მეშვეობით ავხსნათ.

დავუშვათ და ჰაკი აბა გადაურჩა კუხმა მრისხანეს და იგი მოესწრო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გასხვაქვეყნებას, ანუ აფხაზეთის ასსრ-ს შექმნას. აფხაზეთის ასსრ-ს შექმნა იმას ნიშნავდა უკვე, რომ ეს მხარე „მოამე“, მაგრამ „არაქართული ქვეყანა“ გახდა. „არაქართული რესპუბლიკის“ საჭიროებამ მოითხოვა და დაიწყო მისი დემოგრაფიული დადასტურების, სხვანაირად რომ ვთქვათ, რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის, ე. წ. „სატიტულო ერის“ – „აფხაზეთ“-ობის კონვეირული წარმოება. ასეთმა წარმოებამ, ანუ დივერსიულ-ეთნოგრაფიკაციულმა ინდუსტრიამ აფხაზეთის ასსრ-ში სტრატეგიული ხასიათი მიიღო და იგი სახელმწიფო პოლიტიკა გახდა.

ამ პოლიტიკის მიხედვით აბაზი – ამ მხარის ქართველის ვინაობა მიეპიროვნა აფხაზეთის ასსრ-ის სატიტულო ერად სახელდახელოდ შეკოწიწებულ მასას.

პრინციპი იყო ასეთი – რაკი აფხაზეთი არ არის საქართველო, არც აფხაზია ქართველი და იგი, როგორც შინაარსი, გაუთვალდა აფხაზს.

აღსანიშნავია, რომ დივერსიული ეთნოგრაფიკაციის ნედლეულად გამოიყენებოდა ძირითადად ამ მხარეში მოსახლე

ქართველი (ასევე, ნებისმიერი, ვისაც შესაბამისი პრივილეგიები სურდა: რუსიც, თურქიც, არმენიც და ა. შ.).

ჰოდა, ერთ დღეს, სათანადო სამსახურებიდან (დავუშვათ) მიაღწენ ჩვენს ჰაკი აბას, შეუვსეს პასპორტი და ეროვნების განმსაზღვრელი გრაფის გასწვრივ ჩაუწერეს „აფხაზეთ“-ი, თან განუმარტეს, აფხაზი თვითონა და არა უჯუშ ემხას. აქვე მოსთხოვეს დაეხსოვებინა, არამდ იგი არა „აბა“-ში (ე. ი. გერისში), არამედ „აფხაზეთში“ ცხოვრობდა.

როგორც კი ჰაკი მიემოწავა ამ საბჭოთა ეთნოლოგიურ გაკვეთილებს, ის აუხეზდრდა სახლიკაციობის წესრიგს და ზურგში დაახალა ტყვია თავის ძიძიშვილს, აქამდე სათაყვანო ბუქუბესა და სახლიკაცი უჯუშ ემხას, მოკლედ, განახორციელა უჯუშ ემხათა გენოციდი და ეთნიკური წმენდა.

ყოველივე ამის გასწვრივ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) „გასხვაქვეყნებისთანავე“ აფხაზეთის ასსრ-ში პოლიტიკური პრივილეგიები შემდეგნაირად გადანაწილდა: „აფხაზეთ“-ობას, როგორც მიზნობრივ ეთნოკრატებს (აგრესორ-სეპარატისტებს), ანუ „სატიტულო ერს“ ებოძა ძირითადი და საკანონო თანამდებობები; ქართველს, რომელიც უკვე ენგურს გაღმედ „მოამე ხალხს“ ნიშნავდა, ასევე, გაუპიროვნდა საპასუხისმგებლო თანამდებობათა გარკვეული რაოდენობა – უფრო ნაკლები და საფეხურიანი ქვემოთ ხიჯის. პრივილეგიების რაღაც ნაწილი ასევე მიეცათ ამ მხარეში მცხოვრებ სხვა ხალხებსაც. ერთადერთი ხალხი, ვინც ყოველგვარი პრივილეგიის გარეშე დარჩა, იყო ამ მხარის ძირძველი აფხაზობა (მეგრელობა), ანუ ქართველობა, რომელიც პასპორტში, შემოთავაზებების მიუხედავად, „აფხაზეთ“-ი არ ჩაიწერეს და თავიანთი „ჩქინობურობა“ ანუ ქართველობა მიუთითეს. მეტიც, ის ადამიანები, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) საკუთარ დედან ვინაობაში, ე. ი. აფხაზობაში, მაშასადამე – ქართველობაში იშინაარსებდნენ თავს, მათ არათუ პრივილეგიები, კოლმეურნობის ბრთადირადაც არაფერს აწინაურებდა მხრებზე სიბრძნის კოშკიც რომ დგომოდა. ის კი არადა, ყოველი მათგანი სხვადასხვა რეპრესიის სამიზნე იყო. აღსანიშნავია, რომ ასეთებს აგრესორ-სეპარატისტთა დიდმეურნობური შემოთარეშების გასწვრივ არც „ქართული“ პარტიკრატია სწავლობდა და „მოამე“ ქართველებისთვის განკუთვნილი შეღავათებიდან არ გამოეყოფოდათ რაიმე სახის სარგო. მათი სოფლები მიზნობრივად კეთილმოწყობელი რჩებოდა, სხვადასხვა ფათურაკი ხელოვნურად ატყდებოდათ თავს და ა. შ.

რა თქმა უნდა, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში აფხაზთა (ქართველთა) და აფხაზთა სამომავლო ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს, იქედანაც და აქედანაც სახალხო მეხსიერების ცხრაკლიტ-ულებიდან უნდა გამოვიხსნათ ნათესაობითი, ბუქუბტეობა-მორღობითი თუ სახლიკაციური ურთიერთობები. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა დივერსიულ ეთნოგრაფიკაციითა შედეგების უკვალოდ გადაცოცხვა მკვლარდმოხილი მონღოლმა იქნება. კარგად მესმის, რომ ამ საქმეს უნდა უწევდეს ვერ უშველის, უფრო მკაფიო წინგახედვა სჭირდება. აფხაზ ხალხმა ქართული სახელმწიფოსგან უნდა გაიპიროვნოს თავისი მარადიული ყოფის გზები, პირობები და საშუალებები. ამავე დროს, შესაბამისი საკანონმდებლო დაზუსტებები უნდა მოხდეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ქართველთა, როგორც ამ მხარის ძირძველი და გაშინაარსებული ხალხის სამკვიდროს აღორძინების გზებისა და საშუალებების შესახებ. ამ მხარის დეოკრატისთვის ისტორიული, პოლიტიკური, იურიდიული, დიპლომატიური, კულტურული, სარწმუნოებრივი, საგანმანათლებლო, ეკონომიკური, ადამიანობრივ-ტრადიციული (ბუქუბტეობა-სახლიკაციობა), სამართლებრივ-ძალისმიერი და ა. შ. ბერეკეტები სახელმწიფო პოლიტიკად უნდა ჩამოყალიბდეს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა ცალმხრივი სენტიმისა თუ ბრევიული გულანუყვების დივერსიული, არამედ, ქართული საზოგადოება ერთხელ და სამუდამოდ გაერეოს თუ რა მიბმულობა აკავშირებს მას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსთან – ეს მხარე ქართულად ადღადებული შინაარსი

– აფხაზეთი არის ჩრდილოდასავლეთის არაქართული ქვეყანა „აფხაზეთ“ გახლავთ.

აფხაზ-აფხაზთა სახლიკაციური ურთიერთობის მოწესრიგების გზაზე ჩვენი მხრიდან ასევე მოსათვალსაწიერებელი ის მიჯნა, სანამდე და რისი დათმობა, თვალის წახეჭვა ან გვერდის ავლა შეიძლება, მაგრამ აქვე და რაც შეიძლება მალე, უნდა გაიცეს საყოველთაო სახალხო ბრძანება „სდგე“ და მიზნობრივად ის სახლიკაციული მნიშვნელობის ზღვარი, რომლის დათმობა და გადაბიჯება აფხაზეთი (ქართული) ვინაობისთვის ზურგში ჩაცემულ ლახვრად დადგინდება (სხვათა შორის ეს „სდგე“ არანაკლებ ეხება ქართულ საინფორმაციო სამსახურებსაც).

რაც მთავარია, სასწრაფოდ უნდა შეწყდეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკითხების „განხილვები“ ისეთი სახიფათო და დივერსიული სტერეოტიპებით თუ ტერმინოლოგიით, რომლებიც ამ მხრივ დაგვიტოვა საბჭოთა ეთნოგრაფიკაციულმა ინდუსტრიამ აფხაზეთში.

წითლმწვენილი: საკუთარ ვინაობაზე სისწორის დანაშაულებრივი გადაჯეგვა, მისი ჯოგური (კოლექტიური) ერთბაშობით დაიწვევა და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) შესახებ დივერსიულ-ეთნოგრაფიკაციულ სტერეოტიპებზე, მეტიც, ხანგრძლივად მოქმედ მიზნობრივ ნაღმებზე დაშენებული უგუნური „გულანუყვების“, დამკვიდრების „კეთილმეზობლად“ აღიარების, მამულის შემოსხეულებზე გაუმართლებლად უარის თქმისა და საერთოდ, უვიცობაში უტვიზოდ გასაგნების მორიგი გამოვლენება ასეთი, ხელში ასაფუთქებლად შემოიჩნებელი დეზუბეობა: „როდესაც რუსეთს ოკუპანტს ვარქვეთ, ეს აფხაზებისა და ოსების დიდი „შეურაცხყოფა“ (გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 7-13 ნოემბერი, 2016 წ.).

საზოგადოებრივმა სიმრავლემ, რომელმაც ამგვარად მოითვალსაწიერა აფხაზეთი (ჩრდილო-დასავლეთ საქართველო), იქნებ ჩვენც „შემოგვიგაკეთილოს“ და „გაგანათლოს“, ამ ოკუპაციის წინმსწრებად, – ქართველთა (აფხაზთა) გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას სასწაულებრივად გადარჩენილებს გაგვაგებინათ თუ რა მტკიცებულებას ეფუძნება მათი თითისქევი-თი მსჯელობა?!

დროსა და სივრცეში, ბოლშევიკთა ეთნოლოგიური დეკრეტების გარდა, რაიმე საბუთი არსებობს იმაზე, რომ აფხაზეთი ჩრდილო-დასავლეთ საქართველო არაა? გასაკვირია ამ ხალხის საქმე, – ბიჭო, რუსული მწერლობისკენ ვერ გაგიხედავს, პარიჟს, რუსეთის აგენტობა არ დამწაონო და რუსი ბოლშევიკების მიერ კანონად გასაგნებულ (გაფაქტებულ) დივერსიულ დეკრეტებს „ჭეშმარიტებად“ რომ მიფრთხილებ, რანაირადაა ეს?!

რასაც ვაკვირდები, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკითხებზე მომუშავეთა უმეტესობის მდგომარეობა, თავიანთი კვლევების საბჭოთა წინამძღვრებზე აგების გამო, ძალიანა ჰგავს ტყეში სოკოს საკრეფად წასული მოყვარულის ხელგარჯილობას, რომელმაც არ იცის, რომ ყველა კარგ სოკოს თავისი მსგავსი შხამიანი ორეფო გააჩნია, რომლის გამოცნობას საამისო დაკვირვება და ცოდნა სჭირდება, რადგან ვერგეულად ვერ განასხვავებ მას თუ გაწაფული არ ხარ ამ საქმეში.

ჰოდა, ამ „ჩვენს“ „აფხაზეთმცოდნეობას“ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს დედანი შინაარსი ეფუძნება ბოლშევიზმის დეკრეტებში, რითაც ამ საკითხებზე საზოგადოებას ვარგისი ცნობების მიწოდების მაგივრად შხამიანი დეზუბეობით წამლავენ.

როგორც ხედავთ, ამ მხრივ საგანგაშო ცალმხრივობა და არაკომპეტენტობას ავლენს ქართული მედია, მაგრამ ის უვიცობა, რაც გადმოითარეშებს ხოლმე სხვადასხვა ტრიბუნად, მაუწყებლობის წესად კი არა მარტო, ჭეშმარიტების დამნავეიანებელ ძალისხმევად, – გასაგები მიზეზის გამო, მიუტეველებია საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულელებისთვის“. ამასთან დაკავშირებით საჯარო საუბარს, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი საპატრიარქოს სახელით მაუწყებლობს, თავს აფარებდ, მაგრამ კეთილმოსურნედ ვურჩევ მისმა თანამშრომლებმა გზადაგზა იგაკეთილონ მაინც წარსულში ქართველ დიქტორთა სწორმეტყველებისა და კეთილსმოვანების ხელოვნება (ბეგრათა მკაფიო

გამოთქმა, უცხო სიტყვათა გაუმართლებელი ხმარება, გამართული სუნთქვა და სხვა). რაც მთავარია, მოვლენების სწორად გაშუქება უნდა დაიხასონ მიზნად, ნუ ბაძავენ ოდოზურ ტელევიზიებს. ეს, რაც შეეხება ტექნიკურ მხარეს, ხოლო ქართველთა გონითი განფენის სივრცეში საყველურო ცოდნით შენაბიჯების მცდელობა, ასევე არასასურველია მათი საქმიანობისთვის..

დაიხ, ამაზე უფრო დაწვრილებით საჯარო რეადას თავს ვარიდებ და თუ ვინმე საჭიროდ ჩათვლის, მზადა ვარ დახურულ კარს მიღმა ვისაუბრო იმაზე, რაც (რბილად რომ ვთქვა) უკმარისობას იწვევს ჩემში, მაგრამ არის ერთი გადაცემა, რომელთანაც ჩემი დამოკიდებულება, სწორედ იმიტომ, რომ საპატრიარქოს ტელევიზიაა, აქვე და ახლავე კეთილმოსურნედ უნდა ვთქვა: მიმდინარე (2016) წლის 27 სექტემბერს ამ ტელევიზიით გადაიცა მასალა, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკითხს კი ეხებოდა, მაგრამ ვეჭვობ, გამოხატავდეს როგორც დედან სინამდვილეს, ასევე, ამ მხარის გენოციდამოკიდული და ეთნიკური წმენდის გზით გამოძევებული მოსახლეობის საწუხარს, არადა, იგი ეტყობა, ისე მოეწონათ რედაქციაში, რომ არაერთგზის, – 28 სექტემბერს, 2 ოქტომბერსა და მომდევნო დღეებშიც გადმოსცეს.

საუბარია ქალბატონ თამარ ბელკინას გადაცემაზე რუბრიკით „ერთიანი მშვიდობიანი კავკასია“, რომლის დღის წესრიგი აფხაზეთის საკითხს მიეძღვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ დღეს – 27 სექტემბერს (1993 წ.) მომხდურებმა სოხუმი აიღეს.


ცხადია, ვისაც აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) თავსატეხვარში გარკვევა გულით სწავია, ის საბჭოთა დივერსიულ-ეთნოგრაფიკაციული ინდუსტრიის შედეგების დედან სისწორედ დამკვიდრებას არ უნდა ცდილობდეს და ამისათვის აფხაზეთის მოვლენების გაშუქებას მიზნობრივად შექმნილი საბჭოთა პროვოკაციული ტერმინებითა და სტერეოტიპებით არ უნდა ინდომებდეს. ამაზე ზემოთ ვისაუბრეთ უკვე.

ახლა ვნახოთ, თუ რა კომპეტენცია გამოაგონეს ამ საკითხის განსახილველად მოწვეულმა ექსპერტებმა ამ მხრივ გენერალი ლევან კიკნაძე – აფხაზეთის არ-ის უშიშროების ყოფილი მინისტრი – როგორც მოსალოდნელი იყო, მისი მსჯელობა არ გაცდილება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ოცნებას, თუმცა, საამისო გზები, ისევე და ისევე, საბჭოთა დივერსიული და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს „გამსხვაქვეყნებელი“ ტერმინებით სცადა.

ზაალ კასრამლიშვილი – როგორც თვითონ აცხადებს, კავკასიის ხალხთა საქითხეში ექსპერტი, მისი წარმოდგენები, რომელიც აქ გამოაგონა, ეფუძნება იმას, რომ იგი წლების წინ გუდაუთში, მამამისის მეგობართან ჩაიღოდა.

ამის მიხედვით, ამ კაცის „გულანუყვაც“ და „კეთილმეზობლობაც“ იმაზე გადის, რომ მისთვის აფხაზეთი ჩრდილო-დასავლეთ საქართველო კი არაა, არამედ „გასხვაქვეყნებულ“ აფხაზეთის რესპუბლიკად ისაგნება, რომელიც, შესაბამისად საბჭოთა ეთნოგრაფიკაციული შედეგისა, „მოამე“, მაგრამ „არაქართული“ ქვეყანაა, აქედან გამომდინარე, ბატონი ზაალი მიმართავს აფხაზებს (არა ამ ცნების დედანი მნიშვნელობით, არამედ, საბჭოთა გაშინაარსებით) და განუმარტავს, რომ საქართველოში, ბიზნესი აქვთო ჩერქეზებს, დადესტნელებს, ინგუშებს, აზერბაიჯანელებს, სხვებსა და სხვებს და კაციშვილი უბატონოდ ხმას არ სცემსო მათ, თქვენც აწარმოეთ ბიზნესი ჩვენს ქვეყანაში, დაევიწყოთ მტრობა და ვიკეთილმეზობლოთ!..

სმრბი სჯაზია, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი; მწერალთა აკადემიის წევრი; ეურნალისტთა ფედერაციის წევრი; აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი; უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების უეტერანი; ნიკო ნიკოლაძის, გიორგი შარვაშიძისა და ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიების ლაურეატი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ტერენტი გრანელი უსწაური სიყვარული და იმედგასრულება

დიდი ქართველი პოეტის დაბადებიდან 119 წელი გავიდა

“შავი წამები მიჰქრია. ისევ ცოცხალი ვარ, ისევ ვოცნებობ და ისევ ვფიქრობ. დიდი ხანია, რაც ერთმანეთი არ გვინახავს, მაგრამ ჩვენი გულები მაინც ახლოს არიან. ეხლა უფრო განვიცდი შენთან სიახლოვეს. შენ თითქოს შორს იმყოფები ჩემგან და ეს უფრო საშინელს ხდის ჩემს მარტოობას, მე ხომ ყოველთვის მარტოობის ქვეშ ვიფიქრე ფიქრები, და ეს მარტოობა მიყვარს და თან მეშინია... მე შეიძლება მიწას მალე მოვშორდე და ზეცისაკენ წავიდე... რა ვქნა, სად არის ის დიდი ნუგეში, რასაც ადამიანი ყოველთვის ეძებს...” – სწორედ ტერენტის გრანელის თავის “უცნაურ” სიყვარულს – თამარ ჯაფარიძეს. პოეტის ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი ეპიზოდისა და უცნაურად მკაცრი ბედისწერის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტიკის ფაკულტეტის პროფესორს, თამარ პაიჭაძეს ვესაუბრეთ...

– ტერენტი გრანელი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში არა მხოლოდ საინტერესო პოეტი, არამედ ზოგადად ფიგურაა. კითხვები მისი პიროვნების, ცხოვრების, ბედისწერის გარშემო ყოველთვის არსებობს, რადგან ფაქტია, ის საკმაოდ არაორდინარული ბედის პიროვნება იყო, მტკივნეული სიურპრიზები არგუნა ცხოვრებაში. საერთოდ, როცა ლიტერატურის ისტორიაში მწერალს ვაფასებთ, მის შემოქმედებას დინამიკაში განვიხილავთ – როგორ ჩამოყალიბდა, რა მეთოდოლოგიური გარდასახვა მოხდა მის შემოქმედებაში. ტერენტის შემთხვევაში, ეს პროცესი ნაკლებად ცნობიერდება, რადგან ყველაფერი პირიქით მოხდა – ის მისი ცხოვრებისა და შემოქმედებითი ყოფის ადრეულ ეტაპზე უფრო პოპულარული იყო, ვიდრე მოგვიანებით, რაც მისმა უმძიმესმა ცხოვრებისეულმა ყოფამ გამოიწვია. ყოველდღიური ცხოვრების წესით გრანელი ძალიან ჰგავდა ნიკო ფროსმანს – ტერენტის მასავით კიბის ქვეშ ცხოვრობდა. კიბეს ერთი ფარდალადა შეჭედული ფიცრული კარი ჰქონდა, კარს მიღმა კი ერთი ჭრიალა ტახტი, მაგიდა, ორი სკამი და ერთი ნავთის ღამფა იყო. არანაირი გათბობა და აუცილებელი საცხოვრებელი პირობები არ ჰქონდა.

– როგორ გახდა ტერენტი კვირკველია ტერენტი გრანელი?

– ტერენტი გრანელი წაღწევიდან ერთი აბჯო ჩამოვიდა. თან ჰქონდა გულისხმიერი მეზობლის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის – იაკობ შანავას სარეკომენდაციო წერილი ზაქარია ჭიჭინაძისა და იოსებ იმედაშვილისადმი. მათ შეიფარეს პოეტი და ლექსების დაბეჭდვის საქმეშიც უშუალოდ მონაწილე. ტერენტი გრანელის ნამდვილი გვარი “კვირკველია”, მეორე ვერსიით კი – “კვირკვეაია”. თბილისში ჩამოსვლისთანავე პოეტი ფსევდონიმად “გრანელს” ირჩევს. ამ სიტყვის ეტიმოლოგიის რამდენიმე ვერსია არსებობს, თუმცა, ალბათ ყველაზე სწორი ვერსია სიტყვის ლათინური წარმოშობით აიხსნება. “გრანელს” ლათინურად, “მარცვალს” ნიშნავს. პოეტი ხშირად ამბობდა: “მეც პატარა, ობოლი მარცვალი, სამყაროს უმცირესი ნაწილი ვარ”...

– ცნობილია მისი უცნაური სასიყვარულო თავგადასავლის შესახებ...

– ეს ამბავი მის წინააღმდეგობრივ ემოციურ, ფრთხილ, სათუთ და ამასთანავე, პრინციპულ სულიერ სამყაროს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. პოეტის უახლოესი მეგობარი, გენო ქელბაქიანი, ტერენტის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას დაუმეგობრდა. მისი მოვლენების მიხედვით, ტერენტი გრანელს თავისი შემოქმედებითი სრულყოფილების ზენიტში ყოფნისას უამრავი თავგანისმცემელი ჰყავდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო ახალგაზრდებში და უამრავ წერილს იღებდა. ერთ-ერთი, კიევიდან ახალგაზრდა ქალმა გამოუგზავნა. ეს იყო თამარ ჯაფარიძე – იმ დროისათვის კიევში საცხოვრებლად წასული ოფიცის მეუღლე. წერილის მიხედვით, გრანელის ლექსების კითხვა მისთვის “ყოველდღიურ სულიერ საზრდოდ” ქცეულიყო. ამბობდა, რომ თბილისში ყოფნისას საიდუმლოდ უყვარდა პოეტი და ბევრი მისი ლექსი ზეპირად იცოდა. ტერენტი ამ წერილით გაოცებული და აღფრთოვანებული დარჩა. მისი მეგობარი წერს, – რადგან ის ამ ქალს არ იცნობდა, საკითხს ფრთხილად ეკიდებოდა, თუმცა საბასუხო წერილი მისწერა და ამის შემდეგ მათი მიმოქრორა რეგულარული გახდა. მეგობრები ამჩნევდნენ, რომ პოეტი სხვაგვარი გახდა, სიხარულისა და ბედნიერებისაგან ცაში დაფრინავდა. საერთოდ, ძალიან დაუდევარი, მოუვლელი იყო, ზოგჯერ სამთარში თეთრი ტილოს ტანსაცმელი ეცვია; ამ პერიოდში კი ამ მხრივაც გამოიკვალა – ყოველთვის სევდიანსა და მისტიკურს,

თვალეშიც სიხარულის სხივი ჩაუდგა. გარშემო მყოფებისთვის საგრძობი იყო, რომ მის ცხოვრებაში სერიოზული ცვლილება მოხდა. პოეტმა ერთადერთს – გენო ქელბაქიანს გაანდო თავისი საიდუმლო.

სწორედ ამ პერიოდში დაწერა ლექსი “შენს მოლოდინში”...

ერთ-ერთ წერილთან ერთად, თამარმა ტერენტის საკუთარი ფოტოსურათი გამოუგზავნა. ტერენტი ის გენო ქელბაქიანს უწევდა, რომლის თქმითაც, ქალი იმდენად მომხიბვლელი იყო და ისეთი მშვენიერი თვალები ჰქონდა, რომ თავადაც მოინუსხა. ერთხელაც, ტერენტი თამარისგან მიიღო წერილი, რომელშიც თავისი გადაწყვეტილების შესახებ ატყობინებდა: მან ოჯახის მიტოვება და ტერენტისთან თბილისში წამოსვლა გადაწყვიტა. პოეტი მოუთმენლად ელოდა ამ დღეს, ადგილს ვერ პოულობდა... დათქმულ დღეს სადგურზე მისულმა გენომ და ტერენტის ხალხისგან დაცილვად ვაგონში მარტოდ დარჩენილი ქალბატონი დაინახეს. გვერდით უზარმაზარი ჩემოდნით. როცა გენოს ტერენტისთვის შეუხედავს, სახეზე ფერი არ ეყო თურმე პოეტს... მეგობრები ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ ქალს. თამარმა პოეტს ხელი გაუწოდა და მიესალმა, ტერენტისმა მიუგო: “გამარჯობა”. მერე გენოს მიუბრუნდა და უთხრა: “ნეენ წავიდი, გვექაჩება” – და ადგილიდან მოწყდა. გენო ქელბაქიანი ისწავს: “მე არ მინახავს უფრო ნატანჯი სახე, უფრო მწუხარე თვალები, მეც ცრემლი მომივლი. ქალი ჩემოდანზე ჩამოვარდა და ცრემლი ვეღარ შეიკავა, ამოივარდა და, უნდა ითქვას, მეც ისევე მეტინა გული, როგორც მას. ძალიან მომეწონა ეს ქალი იმ წუთებში! ნეტა მე მეყვარებოდა, ნეტა, მე ვეყვარებოდი”. დაბნეულმა და შეწუხებულმა გენომ ატირებული ქალი ეტლამდე მიაცილა, იქიდან მობრუნებულმა კი მეგობარს დაუწყო ძებნა. მოგვიანებით, ქანდაკებასავით თეთრი და მგლოვარე პოეტი ფიროსმანის ქუჩის კუთხეში, ბოძზე მიყრდნობილი და ჩუმიდ მობრუნებულ ნახს... პოეტი თითქოს ცოცხლებში აღარ ეწერა... მეგობრის საყვედურის შემდეგ ესდა თქვა: “ვაი, რამხელა ჩემოდანი ჰქონდა! რატომ მწერდა ასეთ ნახ წერილებს? რად მიგწერე მე წერილები? რად დაგწერე ლექსი? რად მოგწუხედი? აჰ, რად მემტერება ჩემი მუხთალი ბელი” ეს არ მომხდარა იმის გამო, რომ ქალი ან უღამაზო, ან ასაკოვანი იყო. უბრალოდ, ტერენტის ის სხვაგვარი წარმოედგინა, მისი პოეტური წარმოსახვა არ დაემთხვა რეალობას... ეს ქალბატონი კიევში აღარ დაბრუნებულა, საცხოვრებლად თბილისში დარჩა. ტერენტი სადღადა ერთ ქალბატონთან დადიოდა, რომელიც ვერის სასაფლაოსთან ახლოს ცხოვრობდა. ერთხელ, ამ ქალის სახლის ფანჯრიდან თამარ ჯაფარიძე დაუნახავს, ფეხზე წამოიჭრა თურმე და სხვა ფანჯრიდან მეორე მხარეს გადახტა. მიუღი ცხოვრება თავს არიდებდა თამართან შეხვედრას და არც არასოდეს ასხენებდა. მხოლოდ ამ სტრიქონით “გამოიტრია”:

“და სველა მიპყრობს ისევ და ისევ, დაბნეულა ჩემი ოცნების მხარე, არყოფნის დამეგ, შენ დამიფარე, არყოფნის დამეგ, შენ დამიფარე”.

პოეტის ამ მორალურ ფიასკოსთან მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მეორე პერიოდის დასაწყისია დაკავშირებული. მის ცხოვრებაში ნელ-ნელა სხვა გარდატეხა დაიწყო. საზოგადოებას თავადვე გაუუცხოვდა და მოგვიანებით, სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდა. გენო ქელბაქიანმა და მისმა რამდენიმე მეგობარმა ტერენტის ნაკითხეს და იქაურ აღმასკომის თავმჯდომარეს აუხსნეს, რომ ის პოეტი იყო; სიხოვეს, უფრო სათუთად მოპყრობოდნენ და მისთვის გასეთრების საშუალებაც მიეცათ. სწორედ ერთ-ერთი სეირნობისას, ტერენტი თბილისში გამოიპარა.

ჟეკე ამის შემდეგ მისი ცხოვრების უმძიმესი ეპიზოდებს იხსენებენ... ვეღარავის ცნობდა – სრულიად მიუსაფარი, დადიოდა დახეული ტანსაცმლით და ცხოვრობდა ქუჩაში, სადაც გარდაიცვალა კიდევ. მისი ცხოვრების ბოლო 5-6 წელი, ფაქტობრივად, არ იყო ადამიანური ცხოვრება. როგორც უპატრონო მიცვალებული, მიხეილის სახ. საავადმყოფოს პროხეტურაში მიახვეწეს, სადაც პოეტი ერთმა პრაქტიკანტმა იცნო. მწერალთა კავშირს შეატყობინეს. დაკრძალვის პროცესისას სულ რამდენიმე ადამიანი მიჰყვებოდა, მათ შორის, ვალერიან გაფრინდაშვილი. საავადმყოფოს გადაღმა, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს, მოგვიანებით კი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

– ცნობილია, რომ პოეტი ჯერ კიდევ ბავშვობაში, მამის სახელწოდებით გვიან

დამემდეგ წადებს კერავდა, შემდგომ მუშაობდა ვაგონების გადახვევლად, კონდუქტორად, საქმიანი ქალაქები დაქონდა სტამბაში... ანუ ცხოვრობდა საკმაოდ პრაქტიკული ცხოვრებით. უფრო მეტად რას მიეწერება მისი ცხოვრების ასეთი ტრანსფორმაცია?

– პოეტის ოჯახს მატერიალურად ყოველთვის უჭირდა. ვერ ვიტყვი, რომ ბავშვობიდან არ იყო მეღანქოლიური. ბავშვობაში თხეხავდა მწვემსავლა. ხშირად უნახავთ წაღწევის გარეუბანში, ძველი ეკლესიის ნანგრევებში იჯდა და თვალის კისკენ ჰქონდა მიმტერებული, თან რაღაცას ხმადაბლა ლაპარაკობდა. ძალიან გამხდარს, საოცრად უძირო ლურჯი თვალები ჰქონდა. ჭაბუკობიდანვე მარტოობისა და მეღანქოლისკენ იყო მიდრეკილი. ტერენტი დღინაცვალმა, დარია მეზობნამ გაზარდა, რომელიც ერთ-ერთი ნათელი წერტილი იყო მის ცხოვრებაში. მას უფრო სულიერი თბობა სტანჯავდა, ვიდრე პიროვნული. მიუხედავად მამის წინააღმდეგობისა, ტერენტის უნდოდა, პოეტი ყოფილიყო და ზუსტად ისე წარმართა საკუთარი ცხოვრება, როგორც თავად სურდა. შედგა კიდევ პოეტად – სულ 2 წლის ჩამოსული იყო თბილისში, როცა მისი პირველი ლექსების კრებული გამოვიდა. გამოვიდა ასევე გაზეთი – “ტერენტი გრანელი”, სადაც მისი პოემების შესახებ ვასილ ბარნოვი, კონსტანტინე გამსახურდიას, ვალერიან გაფრინდაშვილის, ზაქარია ჭიჭინაძისა და სხვა სერიოზულ ლიტერატორთა რეცენზიები იბეჭდებოდა. პოეტს ასევე საშუალება მისცეს, თავისი პრედაქტორობით ორი გამოცემა გამოეცა. ეს იყო “კრონოსის სარკე” და “ია”. მაგრამ მისივე ბუნების გამო, ეს არ გაგრძელდა. პირობებს რომ აიღებდა, მეგობრები მუდმივად ეხსებებოდნენ, – წადი, ტანსაცმელი, საჭმელი იყიდე, ბინა იქირავო, – მაგრამ მას ქართველი სიმბოლისტების ცხოვრება მოსწონდა – ისინი დადიოდნენ ორთაჭალის ბაღებში, ქეიფობდნენ ღუქებში... ერთადერთი, ვალერიან გაფრინდაშვილი, შედარებით ლიტერატორული ფიგურა, კეთილგანწყობილი იყო ამ ადამიანის მიმართ. პოლო იაშვილსა და ტერენტის პირდაპირ ხელჩართული ჩხუბი მოუხდათ რამდენჯერმე, რადგან პოლოს მიანდა, რომ მას არ ჰქონდა უფლება, “ცისფერყანწველებს” მიჰკვდილებოდა. “ცისფერყანწველები” ხაზგასმულად მიდრეკილი იყვნენ ესთეტიზმისკენ და გარეგნული ნიშნებით მათთვის შეუსაბამო ტერენტი გრანელი ვერაფრით მიიღეს. არადა, ტერენტი სულთ მაინც სიმბოლისტი იყო.

– მოგონებების მიხედვით, გალაკტიონი იყო ერთადერთი პოეტი, ვინც მას პატივს სცემდა, პროლეტარი პოეტები კი გრანელზე ზეწოლასაც ახდენდნენ...

– პროლეტარი პოეტებიდან ხარტონ ვარდოშვილთან მეგობრობდა, მაგრამ ვარდოშვილი წერს: ისე მაწყენინა, მისი სახელის ხსენება აღარ მინდოდაო. რაც შეეხება გალაკტიონ ტაბიძეს – ერთხელ ტერენტი ქუჩაში წინ გადაუდგა თურმე და უთხრა: რატომ ამბობენ შენზე, რომ ჩემზე დიდი პოეტი ხარ? მე ვარ შენზე დიდი პოეტი. გალაკტიონსაც უპასუხია: კი, ძამიკო, შენ ხარ ჩემზე დიდი პოეტი...

– მოგონებების თანახმად, ტერენტი გრანელი პოლიტიკაში არასოდეს ერეოდა და არც ხმამაღლა საუბრობდა, თუმცა ნახსენები ისიცაა, რომ ხმამაღლა აკრიტიკებდა სტალინს და მას ლიტერატორს უწოდებდა; ხმამაღლა უარყოფდა ასევე “პარტიულ პოეზიას”. როგორც ჩანს, მაინც აღელვებდა პოლიტიკური პროცესები...

– 20-იანი წლების მთელ ლიტერატურულ ბომონდს “წითელმა” ხელისუფლებამ უნდობლობა გამოუცხადა. ეს ცნობილი ფაქტია. ანუ “წითელმა” ხელისუფლებამ პირველ მტრებად “ცისფერყანწველები”, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძე გამოაცხადა. საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებით, მოდერნისტებისადმი იყო არაკეთილგანწყობილი. მაგრამ ტერენტი გრანელს ცალსახად სამშობლოს მოღალატეობა ვერ დააბრალეს, რადგან 1926 წლის შემდეგ იგი პოეტთა სიაში, ფაქტობრივად, აღარ ირეცხებოდა; მასში მოწინააღმდეგეს ვერ ხედავდნენ. პოეტი თავადაც განწყობილი იყო პოლიტიკური და იდეოლოგიური პროცესებისგან. ის მისტიკოსი, სხვა მიმართულების, აზრების, ფსიქოლოგიისა და მსოფლმხედველობის “მონა” იყო. თავადვე ამბობდა: “გადავეცი მსოფლიო ელემენტებს”. ადამიანის ყოფაზე, სიკვდილსა და საყოველთაო ფილოსოფიაზე უფრო იყო ორიენტირებული, ვიდრე ყოველდღიურ თემებზე.

შორენა ლაბაძე

პოსტსაარჩევნო სათრეველები

პოსტსაარჩევნო სათრეველები

აბრაგამი და მარიაბუბი

თქმული „რუსთაგ-2“-ის ამასწინანდელ ტელეინტერვიუზე მიხი-შეგვიკითხეთ

რომ დაიფრინეს ჭიტლევი მიხი და მისი ჭილევი, თქვეს: აყლაყულა ჯაყოსო სურს, ოდესიდან დაყოსოს ცხვირი სად უნდა ჩაყოს, რომ ხაღხს ტენი გაუღაყოსო, თან „რუსთაგ-2“-ის იორდით – გაბუნიაანთ გიორგით განდგომილები დაყოსო!.. მათში ბევრი ჰყავს ნაგვემი, პირადად რომ აქეთ ნაგვემი მიხოს და „გარიაგების“ ვერდიქტი – „ცოცხზე“ ნაგვემი!

შიძრები ოჯახში

რად ჯახირობს, რომ ჯახირობს ვის რით დაკავშირებია, ვინც უარყოფს, ოჯახი რომ ცოლ-ქმარი და შეილებია? ვაუკაცობას, დიაცობას ვინც რომ დაუშინებია, დროზე გემარტობს მისი გმობა უჩინო და ჩინებია.

როცა ლარს უტმვს “კუპონა”

გოციკომ, ანუ კუპონამ ლარს ნაპრალი თუ უპოვა, იცის ნაცების რუპორმა, როგორ გვაქციოს უპოვად. და დღეს იმითი ნეტარებს, რომ გესლავს პარლამენტარებს!

შეგონება დეპუტატს

სატანა დგას წინა კართან და ოჯახს რომ მოუფაროთ, ხმალი ვინდა წინაპართა დავით თარხან-მოურავო!

ალექსანდრე შენგელია

უღალატობის ფიცი

ნუთუ დადუმდა ერი ქართველი, ხაღხი დამდაბლდა გახდა მორჩილი?

დამცირებას და ურიცხვ სიგლახეს, თაგნაქინდრული გუობს ნორჩივით! აღარც გარდასულ დღეთა ფიქრია, არც მომავლის გამხდარა დარდი, გადაგვარების ყაღვება ერი, ჟამთა სიავის დამდგარა დარი. ხომ ცოტანი ვართ ერი ქართველი, უფრო ნაკლები ქრისტეს მდევარი, ურჩი სატანა ლაღად ბობოქრობს, ჩვენშია ჩვენი დამაქცევარი. დრო ცოტა გვრჩება მოფიქრებისთვის, ღვთისმშობლის ხატიც ვეღარ დაგვიცავს, გავერთიანდეთ გვიხმობს უფალი, თორემ ურჯულო ჩვენს რჯულს წაბიღავს. გავერთიანდეთ გვიხმობს უფალი, უღალატობის გეჭირდება ფიცი, ღვთისმშობლის ხატის გაგხდეთ მორჩილი, თორემ გაქრობა კარგთან გვიცდის.

ჩამი სულის მფობელი

როგორ დამშორდი ჩემო სოხუმო, შენ ჩემი სულის იყავ მშობელი, ჩვენი გახლეჩის მზარავს დარდები, მიტომ მდის ცრემლი შეუშრობელი. შენთვის მიძღვინა ბზობის დღე ღვთისა, თუმცა შორიდან მხერამ დამდალა, ათას ფიქრებში ერთი ბობოქრობს, ნუთუ ყოველი წარსულს ჩაბარდა...

სიმონ ზაქარაია

“ახალგაზრდებს კატა თავდაღმა დაეპიღებინათ და თავს აჭრიდნენ” – რა ნახა პოლიციელმა “ვარდების მოედნის” სარდაფებში?

რა ხდება “ვარდების მოედნის” სარდაფებში?!

როგორ ცდილობს მიწისქვეშეთიდან მოზარდების დახსნას 173-ე სკოლის დირექტორი.

ნაციონალურმა სიტყვა “ვარდი” შეაბუნებინა საზოგადოებას, რადგან დღეს იგი ისევე ასოცირდება სატანასთან, როგორც თავად ნაციონალური ამიტომ, საზოგადოება ვერაფერ სასიკეთოს ვერ უნდა მოელოდეს იმ მოედნიდან, რომელსაც ავადსახსენებელი ნაცების მიერ დარქმეული სახელი – “ვარდების მოედანი” – ჰქვია და ამ მართლაც სატანური ძალების საქართველოში აღზევების სინონიმად არის მიჩნეული.



“ჩემი შვილი სატანისტების სექტაში იყო. დიდი ძალისხმევით გამოვტაცე მათ კლანჭებს. მასთან ერთად შეგხვდებით და გაამბობთ, რა უნდა იცოდეს საზოგადოებაში, რომ შვილები ჭაობში ჩაძირვისგან დაიფაროს”, – ამ საუბრის შემდეგ ვიმედოვნებდი, რომ მამაკაცი, რომელმაც ტელეფონში ვინაობა არ გამომხილა, ნამდვილად შემხვდებოდა. მოგვიანებით შემატყობინა, მონასტერში ვცხოვრობ ქალ-იშვილთან ერთად, მან ურნაღისტთან შეხვედრა გადაიფიქრა, და ყოფილ პოლიციელ ნიახ ლემონჯავასთან დაკავშირება მიჩნია. ის ერთ-ერთი პირველი ყოფილა, ვინც წლების წინ საშიში სექტების შეკრების ადგილს მიაგნო და შესაბამის სამსახურებს აცნობა.

60-ს ლემონჯავა: – ათი წელზე მეტია ვარდების მოედანზე, მიწის ქვეშ, ამზრუნუნ სურათს წავაწყდი, რისი ნახვის შემდეგაც ვცდილობდი, მეტი შემეტყო იმ ბუნაგების შესახებ, რომლებიც ქალაქის ცენტრში არსებობს. საეჭვო ინფორმაციის გადასამოწმებლად დაბლა ჩავდი, სადაც ერთხანს დისკოთეკები იმართებოდა. იქ იკრებოდნენ სხვადასხვა მიმდინარეობისა და სექტის მიმდევრები. ყველა დაჯგუფებას

თავისი ტერიტორია აქვს. ვის არ ნახავთ: გოთებს, სატანისტებს, ემოებს, ელექტრონული მუსიკის ან მძიმე როკის მოყვარულებს. ერთი სიტყვით, სრული ბალანსია. ამ საკითხს ძირფესვიანად შესწავლა და პრობლემის გონივრულად მოგვარება უნდა და არა ომის გამოცხადება, რაც ბოროტების ბუდე მხოლოდ ერთ ადგილზე გააქრობს, მაგრამ სხვაგან გააძლიერებს.

– რა ნახეთ დაბლა?
– შევესწარი, 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს კატა როგორ დაეკიდებინათ თავდაღმა და თავს აჭრიდნენ. დამინახეს თუ არა, გაიტყენენ. იქ იმდენი ვახსენებელია, რომ ერთ კაცს გადევნება და დაჭერა გაუძნელებდა.

მოგვიანებით გავიცანი ადამიანები, რომელთაც ჩემზე მეტი ჰქონდათ ნახა და საკუთარი ყურით მოსმენილი იმ საშინელებების შესახებ, რაც ვარდების მოედანზე, მიწის ქვეშ ხდება. ღრმად მჯერა, რომ იქაურობის შესწავლა ძალიან ბევრ იდუმალღმერთს მოცულ საქმეს გახსნის. ჯერ კიდევ ათი წლის წინ ვთხოვდი შსს-ს ამ საქმისთვის მიხედვა. გგონიათ, თქვენი რეპრეზენტორთან მიმავალი შვილი თავის ცნობისმოყვარე მეგობრებთან ერთად არ შეეცდებოდა, ერთხელ მაინც მოხვდეს იმ სარდაფებში?

ერთი გოგონა, რომელიც მანდ ჩაითრიეს, მზად იყო, მთელი ოჯახი ცეცხლში ამოეზუბა, ოღონდ იმ ბუნაგში ყოფნაში არ შეეშალათ ხელი. თავის მოკვლაც სცადა. მეურნალობდნენ, როგორც გიქს და წამლებით კინაღამ მართლა გააგიჟეს. სხვა მიდგომა უნდა ასეთ გზიდან აცდუნებოდა.

173-ე სკოლის დირექტორი ღია თუშური, რომელმაც შარშან ნახა სატანისტური მსხვერპლშეწირვა, მიიჩნევს, რომ ვარდების მოედნის მიწის ქვეშ არსებული სხვადასხვა დაჯგუფების წევრებთან რადიკალურ დაპირისპირებას შედეგი არ მოჰყვება.

– ამ სარდაფებით მაშინ დაინტერესდი, როდესაც ჩვენი სკოლის ერთი მოსწავლე უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ეჭვი გამიჩნდა, რომ გოგონას სწორედ ვარდების მოედნის ქვეშ მიაგნებდი. მე სკოლის დირექტორი ვარ, 2000 ბავშვი მყავს მობარებულში, ამიტომ ვეცადე, გამეკვირა, საიდან იბადება ბავშვებში ასეთი ინტერესი. ასე დავიწყე სუბკულტურების შესწავლა. ის გოგონა სარდაფში ვერ ვნახეთ, მაგრამ მისი ასავალ-დასავლის შესახებ სწორედ იქ შევიტყვე. იქვე დაგუხლოვდი ახალგაზრდებს, რომლებთანაც დღემდე მაქვს კავშირი და ვცდილობ, მიწისქვეშეთიდან ამოვიყვანო.

დაუშვებელია მათთან აკრძალვების,

შეზღუდვების ერთ ლაპარაკი, რადგან ასეთ ქმედებებს ნებისმიერ შემთხვევაში მოსდევს შეგუებულები ბრაზი და ბავშვი აგრესიული ხდება.

– სარდაფებში ნახვის შესახებ გვიამბო.

– პირველად გხვდებიან დარაჯები, ვინც გაფრთხილებს, რომ შესაძლოა, არასასიამოვნო ვითარებაში აღმოჩნდეთ, იქ მოყვებს კი აფრთხილებენ, რომ მოვიდა პოლიცია ან სხვა ვინმე საეჭვო, რომელსაც უნდა დაეძალო.

რამდენიმე უცნაური ადგილი ვნახე. ყველაზე შემადრწუნებელი იყო კედელზე ჩამომხრჩვალი კატა პიქტორამით, იქვე კი დიდ ვედროში ერთმანეთზე დაყრილი მკვდარი კატები, უფრო კი კნუტები. ლეშებს თავებზე დამლები ჰქონდათ, ვარსკვლავის მსგავსი. იქვე იყო ალუმინის გრძელი ნატრები წამახვილებული თავებით, ერთჯერადი ხელთათმანების შეკერა და ცელფანში ჩასხმული, შედარებული სისხლი. ყველაზე მეტად გამაოცა ძველმა დივანმა, რომელსაც კუბოს ფორმა ჰქონდა. თურმე ამ დივანზე სრულდება სატანისტების ნათლობის რიტუალი.

ყველაფერი შევატყობინე პოლიციას, სხვათა შორის, სამართალდამცავებში იცოდნენ, რომ იქ ჩავდიოდი. ინფორმაცია მივაწოდე მანდატურის სამსახურსაც, როგორც ვიცო, ამის შემდეგ იქ ტერიტორია დასუფთავდა, მაგრამ, სავარაუდოდ, მხოლოდ ერთჯერადად. ამბობენ, რომ სექტანტებმა ადგილი შეიცვალეს – თბილისის გარეუბნებში აგარაკებზე გადაინაცვლეს.

ურთიერთობა მაქვს ვათებთან, რომლებიც ძალიან მშვიდი და უსაფრთხო ხალხია, მიუხედავად ამისა, მიმანია, რომ ერთი ნაბიჯი აშორებთ სატანისტებისგან. თავისუფლებისკენ მათი უზომო ლტოლვა სახიფათოა. მოსალოდნელია, უფრო მეტს შემეცნებინოს სურვილმა იქ ჩააგდოს, საიდანაც, შესაძლოა, ვეღარ ამოვლენ.

– რა მავთი აქვს ამ სარდაფებს, ასე რომ იზიდავს მოზარდებს?

– იქ არის გარემო, სადაც ბავშვს შეუძლია მიიღოს ის, რასაც ვერ სთავაზობს სკოლა, ვერც ის, ვისაც ახალგაზრდების სკოლის შემდგომ აღზრდა ევალება. ბავშვები ვეღარ დადიან სხვადასხვა წრეზე, რადგან უფასო აღარაფერია. ტელევიზორიც მუდმივად ძალადობას სთავაზობს.

იმ სარდაფებში კრიმინალური მიდრეკილების მქონე მოზარდი სასურველ გარემოს პოულობს, ფილოსოფიის მოყვარული თავის გურუს აგნებს, ელექტრონული მუსიკის ან მძიმე როკის მოყვარული სასურველ ჯგუფში ხვდება და ა.შ. იმ ბავშვებისთვის, ვისაც ოჯახური მარწმუნე-

ბისგან გაათავისუფლება უნდათ და გარდატეხის პერიოდში საკუთარი თავისთვის რაღაცის დამტკიცებას ცდილობენ, მიწისქვეშა სამყაროში ფართო ბაზარია, მრავალფეროვანი არჩევანით.

– გამოსავალს რაში ხედავთ?

– ამ ბავშვების ენა უნდა ვისწავლოთ. მათ მხოლოდ გარეგნული განმსხვავებელი ნიშნებით აღვიქვამთ, გვიკვირს მათი ვარცხნილობა, ტატუ და ა.შ., მაგრამ თუ ვეცდებით, გავარკვიოთ, რა ღვას ამ ყველაფრის უკან, ალბათ, ერთმანეთს უკეთ გავუშვებთ.

ყველა დეტალში განსაკუთრებულ აზრს დებენ და ამის ამოკითხვა უნდა შეგვეძლოს. მშობელი რომ გამოიყვანოს წონასწორობიდან, გააღიზიანოს, გაამწაროს, ეს არის მისი დამოუკიდებლობის გამოხატვა, ტატუ მისი მფარველია და ა.შ.

სამწუხაროდ, მათი ბევრი შეხედულება ძალიან ახლოს არის სატანისტებთან. ასეთი საშიში გავლენის ქვეშ ექცევიან მოზარდები ბავშვები, ისინი, ვინც ოჯახის ყურადღების მიღმაა, ვისაც ვერ აკმაყოფილებს სკოლა და საზოგადოებისგან ვერაფერს იღებს. წინათ მოზარდები სკოლებს დაჰყავდათ თეატრებში, ახლა ამის უფლება არა გვაქვს. ამას ემატება ძალიან ცუდად შედგენილი სახელმძღვანელოები, საიდანაც ბავშვს აზრის გამოტანა უჭირს. პლუს მასწავლებლები, რომლებიც დედინაცვლებს დაემსგავსნენ.

სხვადასხვა გარემოებათა გამო მასწავლებლებში განჩნდა განცდა, რომ მან უნდა ასწავლოს საგანი და მეტზე პასუხისმგებელი არ არის, მასწავლებელი-დედა დაიკარგა. არ უნდა დაგვაიწვიდეს, რომ ჩვენს კარგად აღზრდილ შვილებს სწორედ ჩვენს ყურადღების მიღმა დარჩენილი სხვისი შვილებისგან შემდგარ სოციალურ გარემოში ცხოვრება.

P.S. “ვარდების მოედნის” სარდაფებში მოხეტიალე სხვადასხვა დაჯგუფებას მიკედლებულ მოზარდებსაც გავიცანი, რომელთაც არ სურთ ურნაღისტებთან საუბარი, მაგრამ პირად საუბარში არ მალავენ, რომ დაბლა რაღაც უჩვეულო ხდება. ცდილობენ თუ არა სხვადასხვა სექტებში მათ გადაბირებას? როგორც მითხრეს, პირდაპირ არაფერს გეტყვის, ჩვენთან იყავით, მაგრამ მუშაობენ, რაც შეიძლება ბევრი ჩაითრიონ, რადგან ის, ვინც მეტს მიიყვანს, თურმე მეტი გავლენით სარგებლობს. და კიდევ ერთი უცნაური დეტალი – განსაკუთრებით ნადირობენ იმ გოგონების გადაბირებაზე, ვისაც მარბამი ჰქვია.

ეკა ლომიძე

აღვიწის დღეა, ანუ პოლისიის შენობა მემორიალად უნდა გადაკეთდეს!

ალბათ ყველასთვის გასაგებია რას გულისხმობს გამოთქმა „ადგილის დედა“. ასეთი ადგილი შეიძლება ჰქონდეს ბუნებას, რელიეფს, სოფელს, ქალაქის განაშენიანებას. ის შეიძლება ბუნების წარმონაქმნი იყოს, ანდა არქიტექტორმა შექმნას ქალაქის განაშენიანებაში.

თბილისში, მახათას მთაზე ეკლესიისთვის შერჩეული ადგილი, ანდა ავლაბარში სამების კათედრალური ტაძრის განთავსება განპირობებული იყო სწორედ ასეთი თვისებების მატარებელი ადგილის გამოვლენით.

ასეთი მაგალითებით სავსეა ქართული ხუროთმოძღვრება. შორს რომ არ წავიდეთ, ამის საილუსტრაციოდ მცხეთის ჯვარისა და სვეტიცხოველის კლასიკური მაგალითებიც კმარა. მათი გაბატონებული მდგომარეობა, აქ ჩამოკრული დედო ზარის ხმა მორწმუნეთა გულელებში აღძრავს სიყვარულისა და სასოების გრძნობას, იწვევს მლოცველებს და აერთიანებს ქართველ ერს.

არქიტექტურა ყველა ხელისუფლების იდეოლოგიური იარაღია. ხოლო ხელისუფლება შეიძლება იყოს დემოკრატიული, სოციალისტური (აქ არ იგულისხმება სსრკ), მონარქიული, ტოტალიტარული, პოლიციური, და ა.შ.

დაიხ, შეიძლება იყოს ტოტალიტარული პოლიციური, რაც სულ ცოტა ხნის წინ გადავიტანეთ. ეს იყო კლასიკური მაგალითი თავისი იდეოლოგიური არქიტექტურით. იქ სადაც ტაძრებს ვაშენებდით, დაიწყო პოლიციის შთამბეჭდავი შენობების აგება. პოლიციის შენობა გახდა შიშისა და ჩავების იარაღი. ამ იდეოლოგიის მატარებელთა აზრით, ის უნდა ჩანდეს ყველა მხრიდან და თესავდეს შიშის გრძნობას!

სწორედ ასეთ ადგილასაა აშენებული ვაკე-საბურთალოს პოლიციის შთამბეჭდავი შენობა, ბავშვთა ქალაქის “ზოზის” თითქმის შუაგულში – ვაკისა და საბურთალოს განაშენიანების, მდინარე ვერეს ღია სივრცეში. გაბატონებულ ადგილას, რომელსაც სწორედ „ადგილის დედა“ ჰქვია, დგას არა ტაძარი, არა თეატრი, არა მემორიალი, არამედ პოლიცია.

როცა საქართველო განთავისუფლდა მაჯლაჯუნასგან, შიშისგან, პოლიციის შენობა თავისი პომპეზურობით უაზროდ გამოიყურება. მისი ამ სახით არსებობა საზოგადოების შეურაცხყოფაა. როცა შიში გაივლის, რჩება ზიზღის გრძნობა. ზიზღი არ იწვევს აგრესიას, მაგრამ იწვევს ირონიულ ღიმილს და ადამიანი

ხდება დაუნდობელი დანაშაულის ჩამდენის მიმართ, რაც აუცილებლად თავს იჩენს არჩევანის გაკეთების დროს!

იმის ძახილს, რომ ეს ჩვენ არ გავვიკეთებოთ, მაგრამ აგრძელებს ამ გაუგებრობით სარგებლობას, თავისი სახელი აქვს – ვირეშპალობა.

მაგრამ, აი გამოჩნდა ადამიანი, რომელიც შესძრა უსამართლობამ და ხელში აიღო არა იარაღი უსამართლობის დასამხობად, არამედ სულიერება და ხელოვნება გამოხატული არქიტექტურაში. ანუ, ტოტალიტარულ არქიტექტურას დაუპირისპირა დემოკრატიული არქიტექტურა და მძიმე ბოროტება შეიცვალა შინაარსითა და ფორმით დემოკრატიული იდეით.

ჩვენმა, უნიჭიერებმა და საერთაშორისოდ აღიარებულმა ხუროთმოძღვრებმა, ბატონმა ვახტანგ დავითაიამ შემოგვთავაზა ამ გაუგებრობის გამოსწორების უმშვენიერესი გზა – ვაკე-საბურთალოს პოლიციის პომპეზური შენობა, რომელიც განთავსებულია მდინარე ვერეს ხეობაში მდებარე ბავშვთა ქალაქ „ზოზის“ სივრცეში და უჭირავს ამ მიდამოზე დომინანტური მდგომარეობა, გადაკეთდეს სამშობლოსთვის თავდადებულთა და დაცემულთა ხსოვნის მემორიალად – სიმბოლოდ, რომელიც

შეასრულებს ამ მიზნით აგებული დიდებული ტაძრის როლს.

80 წელს გადაცილებულმა ხუროთმოძღვრებამ ეს პროექტი შეასრულა სრულიად უანგაროდ და წარუდგინა საზოგადოებას. მოეწყო მისი საჯარო განხილვა, იყო ადფროტოვანებული გამოსვლები. პროექტს მაღალი შეფასება მისცეს პროფესიონალებმა. გამოითქვა აზრი, რომ მისი განხორციელება ხელისუფლების მხრიდან იქნება მონანიების ტოლფასი.

აი, ბურთი და აი, მოედანი, „დაუგვირდით საქმეს და ივარდეთ“. როგორც ამას ჩემი რატკველი ბებია იტყვოდა.

P.S. გახსოვთ მხატვრული ფილმი „12 განრისხებული მამაკაცი“. ამ ფილმში ზნეობრივ მაგალითს გვაძლევს ერთ-ერთი ნაფიცი მსახური, რომელიც არ ეთანხმება დანარჩენ 11 ნაფიც მსახურს და ბოლოსდაბოლოს ყველას გადმობირებს თავისი სიმართლით. ეს იყო ზნეობრივი გმირობის ტოლფასი. შემთხვევითი არ არის, რომ ეს ნაფიცი მსახური არქიტექტორი იყო.

ლემი ბოშაძე, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი



დავით ოქიფაშვილი: საქართველოს კულტურის პალატა აფხაზეთში

საქართველოს კულტურის პალატა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კულტურული პროექტების განხორციელებას და ამ მიზნით დიალოგის დაწყებას გეგმავს. მისი პრეზიდენტი დავით ოქიფაშვილი აფხაზეთში ჩასვლასაც აპირებს. „ლაიფსტეილი“ დავით ოქიფაშვილს ესაუბრა.
- ვიცით, რომ კულტურის პალატას აქვს გეგმები, განახორციელოს აფხაზეთსა და სამხრეთში პროექტები დიალოგის დასაწყებად. რა პროექტებზეა საუბარი და რატომ გაიზიარა ეს ინიციატივა?
დავით ოქიფაშვილი: მე აქამდე არ ვერვინი და ველოდებოდი, რა ნაბიჯებს გადადგამდნენ ის ადამიანები, ვისაც ეს ეხებოდა. ეს იდეა გამიჩნდა, როცა წინადადებაში ქალბატონ ნანი ბრეგვაძის 80 წლის იუბილე აღინიშნებოდა. ვინ არ რეკავდა, თითქმის მთელი მსოფლიო, მთელი რუსეთი, მთელი ის საზოგადოება, რომელთა სიტყვასაც აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. მე გადავწყვიტე, რომ დავიწყო დიალოგი. არავითარი პოლიტიკა, მინდა, რომ ეს იყოს აპოლიტიკური და მინდა მოხდეს დიალოგი იმ კულტურის მოღვაწეებს შორის, რომლებიც დღეს არიან აფხაზეთში. როცა ეს განცხადება გავაკეთებდი, ბევრ ადამიანს გაუჩნდა დახმარების სურვილი. საქართველოს კულტურის პალატა არ არის სახელმწიფო სტრუქტურა, ეს არის დამოუკიდებელი სსიპი, რომელიც ბევრ ეროვნულ ღონისძიებას აკეთებს. ჩვენ ვართ ბედნიერები, რომ გათავისუფლებული ვართ, არ ვემორჩილებით არავის და დამოუკიდებლად შეგვიძლია მივიღოთ გადაწყვეტილებები.
მე მინდა ჩავიდე, დაველაპარაკო ახალგაზრდებს, კულტურის მუშაკებს, მინდა ის პროექტი, რომელიც 15 წელია საქართველოში ხორციელდება, „გამონიშნული“

ხელოვნება ვარსკვლავის გახსნა“, შევთავაზოთ და შეიძლება ეს ერთობლივად გავაკეთოთ, ყველაწარმოი პოლიტიკის გარეშე. მინდა ახალგაზრდა თაობასთან მოხდეს დიალოგი, მინდა ისინი აქეთ გადამოვიდნენ. დიდი სიამოვნებით 20-30 კაცს ანსამბლ „სუნიშვილებს“ კონცერტზე ვეპატივებ, 16-დან 19 აგვისტოს ჩათვლით. ეს არის სწორედ სახალხო დიპლომატია. მინდა მოვამზადო საფუძველი და არ არის გამორიცხვად, ბევრი ცნობილი ხელოვანი ადამიანიც ჩაერთოს. მე თვითონ მინდა სექტემბერში ჩავიდე აფხაზეთში და შევხვედ კულტურის სფეროს მოღვაწეებს. დიალოგი არასდროს არ არის დაგვიანებული.
- თქვენ ამბობთ, რომ სოხუმში გეგმათ ჩასვლას, ახალგაზრდებს ეპატივებთ სუნიშვილების კონცერტზე... პრაქტიკულად ეს როგორ წარმოგიდგენიათ? აფხაზეთში ჩასვლა არ არის იოლი.
მე შევიტან საბუთებს და თუ მომცემენ ვიზას, წავალ. ჩემი ნათქვამით მათ გავუწოდებ თანამშრომლობის ხელი არა როგორც პოლიტიკოსმა, არამედ როგორც ქართველმა, კულტურის მოღვაწემ.
- ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ თქვენი წარმომადგენელი უკვე იმყოფებოდა სოხუმში.
ჩემი უახლოესი მეგობარი იმყოფებოდა. არ მინდა მისი სახელი და გვარი დავასახელო. აღფრთოვანებული ვარ იმის და მხად არიან ჩამოვიდნენ. ჩემად გადასვლა - გადმოსვლა არა. მე მინდა ოფიციალურად მივმართო. თუ მომცემენ ჩასვლის უფლებას ჩავალ. თუ არ მომცემენ, არც ამაზე არ ვაპირებ ჩასვლას.
- კარგად შეხვდნენ ამ ინიციატივას, ვის გულისხმობდით?
საქართველოში ცხოვრობს ბევრი აფხაზი, იძულებით გადაადგილებული პირი. დამირეკა ძალიან ბევრმა აფხაზმა მოღვაწემ არამარტო საქართველოდან, მის ფარგლებს გარეშეც. ყველამ მოიწონა ჩემი ეს თანამშრომლობის იდეა. მითხრეს, როგორც კი დაგვირდებით, რა ფორმით, მზად ვართ წამოგვეყოთ დიალოგი და ვადავსდეთ, ვილაპარაკოთ.
- როგორია თქვენი მოლოდინები, ეთნიკურად აფხაზები როგორ შეხვდებიან თქვენს ამ ინიციატივას?
მე ერთი რამ მინდა ვთქვა. აფხაზეთის მოსახლეობა როგორ შეხვდება და კარგად, როგორც დები და ძმები ხვდებიან ერთმანეთს ისე. აფხაზეთის მოსახლეობამ ძალიან კარგად იცის, რომ ჩვენ არც აფხაზეთში დაგვიწვია ომი, და არც აფხაზეთიდან გამოგვიყრია ხალხი. თქვენი კითხვით ჩვენი უკვე შევდივართ პოლიტიკაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი აფხაზი დები და ძმები, მეგობრები ამას გეგმათ შეხვდებიან, იმიტომ, რომ ინტელიგენციას და საქართველოში მოღვაწე კულტურის მოღვაწეებს არც ომი დაუწვიათ, არც აფხაზები დაუხოცავთ.
- როგორ ფიქრობთ, დღეს სახალხო დიპლომატია ცუდად მუშაობს? სუსტია ეს რელიფი?
აქამდე ეს რატომ არავინ არ მოიფიქრა? ჩემს წინადადებას ათასი გაზიარება აქვს. ამ თემაზე დღეს სამსახურში 65-მდე კაცი მივიღე. ზოგს წიგნები მოაქვს, ზოგი ამბობს - ეს შემოძლია გავაკეთო, ის შემოძლია გავაკეთო. მივხვდი, რომ ეს ნიშნავს თავისუფალი იყო. ეს უნდა დაწყებულიყო, იმიტომ, რომ დიალოგს არავინ არ ებრძვის. თუ ისინი ჩათვლიან, რომ ჯერ ნაადრევია და ჩვენ ჯერ იქ არ უნდა ჩავიდე, მაღლობს გადავუხდი და დაველოდები იმ დროს, როცა ისინი ჩათვლიან ამას

საჭიროდ. მე დიდი სიამოვნებით მინდა იქ ჩავიდე. დავინახე ნანი ბრეგვაძის დაბადების დღეზე რა ხდებოდა, ვინ არ დარეკა, პოლიტიკური მოღვაწეებიდან, ინტელიგენციიდან დაწყებული... მე მივხვდი, რომ დიალოგს ალტერნატივა არ აქვს. ჩვენ გვინდა კულტურული დიალოგი.
- ხელისუფლების პოლიტიკას აფხაზეთის თემატიკის მიმართ როგორ აფასებთ?
არ მაინტერესებს. მართლა გამიგეთ, არ მაინტერესებს. ხელისუფლებასაც იგივე დამოკიდებულება აქვს, რაც მე, იმიტომ, რომ დები გვიყვარს და პარტივს ვცემთ და დღევანდელი მთავრობის ყველა გამოსვლაში, მათ შორის პრემიერის ამბობს, რომ ჩვენ თქვენთან ვართ, თქვენთან ვინდა, ვიმეგობროთ, ვითანამშრომლოთ. მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ ისინი ყოველთვის გვახსოვს და ყოველთვის მათ გვერდით ვიქნებით. მეც ვიცი, რომ ისინი ყოველთვის ჩვენს გვერდით იქნებიან.
- ვიცი, რომ პროექტ „ვარსკვლავის გახსნის“ შეთავაზებას აპირებთ მათთვის...
მე მინდა შევთავაზო. არიან ბევრი ცნობილი აფხაზი მსახიობები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები და რატომაც არა? ეს არის ადამიანის დაფასება სიცოცხლეშივე. მინდა ვუთხრა, ჩვენ ამას როგორ ვაკეთებთ, როგორ შეიძლება ამის გაკეთება. თუ დაინტერესდებიან, მზად ვარ გვერდში დავუდგე. ამისთვის მინდა ჩასვლა, თორემ არანაირი პოლიტიკური დიალოგი ჩემი საქმე არ არის და ამაში არც ჩავერევი. მე სულ მალე ოფიციალურად შევიტან საბუთს. ეს არის ათკაციანი დელეგაცია. ამაზე ვმუშაობთ და მოვლენებს წინ ნუ გაუფრთხილებთ.

ნიკოლოზი


ჩვენებურები
გიორგი ბახარიას საქმიანობა ქალიან ნარმატებულ იქნება - შოთა ხაბარელი

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა შოთა ხაბარელმა, განახლებულ მინისტრთა კაბინეტთან დაკავშირებით, „მარშალერის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა:
„თითოეული მინისტრი, რომელიც პრემიერის მიერ იქნა წარმოდგენილი, არის წარმატებული. ისინი ძალიან განათლებული და კვალიფიციური ადამიანები არიან. ვფიქრობ, ასეთივე წარმატებული იქნება მინისტრთა კაბინეტიც. როდესაც ამას ვამბობთ, რა თქმა უნდა, ეს შეეხება ეკონომიკურ გუნდსაც. მინისტრების ჩანაცვლება, ისეთი ადამიანებით მოხდა, მათ განვლილ ცხოვრებას თვალი რომ გადავავლოთ, ისინი ყველა მიმართულებით წარმატებულნი იყვნენ. თუნდაც, იგივე დიმიტრი ქუმისიშვილი - სადაც ის მოღვაწეობდა, ყველა პოზიციაზე წარმატებული იყო და მან საკუთარი კვალი დატოვა. ვფიქრობ, ახალგაიურად სასიკეთო კვალს დატოვებს ფინანსთა სამინისტროშიც. იგივე შემოძლია ვითხრათ, ბატონ გიორგი გახარიასთან დაკავშირებით, ის ახალგაზრდა, ნიჭიერი ადამიანია, მან საკუთარი თავი პოზიტიურად წარმოაჩინა, ჩემი აზრით, ამ კაცის მოღვაწეობაც იქნება წარმატებული. ნებისმიერ სამინისტროს თვალი რომ გადავავლოთ, ყველაგან გვევს ისეთი მინისტრები, რომლებმაც მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელეს“, - განაცხადა ხაბარელმა.
ბატონი შოთას სიტყვების აშკარა დადასტურება გახლდათ ბატონი გიორგი გახარიას გამოსვლა პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტების გაერთიანებულ სესიონში.
„ჩვენ ყველას გვესმის, რომ გვაქვს ღია და მცირე ეკონომიკა, თუმცა, ასევე გვესმის, რომ არ ვართ იმ მდგომარეობაში, რომ ყველაფერი საგარეო ფაქტორებს დავაბრალოთ“, - განაცხადა გიორგი გახარია.

ნიორებთან, რაც, როგორც მან აღნიშნა, პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.
გახარია სამ ძირითად კომპონენტსაც გამოჰყოფს, რომელიც, მისი თქმით, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.
„ჩვენი ეკონომიკის იდეოლოგია გახლავთ თავისუფალი ბაზრის პრინციპი და ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს არის ერთადერთი საშუალება ამ ქვეყანაში იყოს ძლიერი კერძო სექტორი. სექტორი, რომელმაც უნდა შექმნას საშუალო ადგილები, რომელმაც უნდა მიიღოს ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკის სწრაფ ზრდაში. გამომდინარე აქედან, ჩვენ გვესმის, რომ ამის ფუნდამენტი გახლავთ მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საკუთრების უფლების განუხრელი დაცვა და თავისუფალი, კონკურენტული გარემოს შექმნა. საქართველოს ეკონომიკას, დღეს საკმაოდ მძიმე პირობებში უწევს განვითარება. ჩვენ ყველას გვესმის, რომ გვაქვს ღია და მცირე ეკონომიკა, თუმცა ასევე გვესმის, რომ ჩვენ არ ვართ იმ მდგომარეობაში, რომ ყველაფერი საგარეო ფაქტორებს დავაბრალოთ. არსებობს გარკვეული შიდა მომენტები, რომელიც აფერხებს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და ამ გამოწვევებსაც შესაბამისი პასუხი უნდა გავცეს. ქართული ეკონომიკა დღეს არის გამოწვევების ეკონომიკა - ერთი მხრივ აშკარაა, რომ ზრდის პოტენციალი მხოლოდ ნაწილობრივ არის გათვალისწინებული, ხოლო, მეორე მხრივ, არის სერიოზული გამოწვევები რეგიონსა და ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან, რაც ასახვას პპოვებს ჩვენს ეკონომიკაში.“ - განაცხადა გიორგი გახარია.



ზაზა სიამაშვილი: იქნებ ბატონი ირაკლი დავაშვიდროთ მთავნილი პანთეონში



ლექტორი ზაზა სიამაშვილი სოციალურ ქსელში წერს, რომ „იქნებ პოეტი ირაკლი აბაშიძე დავაშვიდროთ მთავნილი პანთეონში, ჩვენი მისდამი მადლიერების ნიშნად“.
„დღეს ამ დიდი ადამიანის დაბადების დღეა. არც მრგვალი თარიღი, არც რამე განსაკუთრებული ნიშან-ვები... უბრალოდ, დიდი ირაკლი აბაშიძის დაბადების დღეა. დღევანდელმა თაობამ ბევრი არაფერი იცის მის შესახებ. ალბათ, ერთ-ერთი ლექსი და ისიც უფროსივე. ზოგს ხალხური მღონია მისი „ნმა კატამონთან“. ჩემი აზრით, ეს პოეტის, უდიდესი საზოგადო მოღვაწის კიდევ უფრო დიდი აღიარება და გენიალურობაა. ჩემთვის - ძია ირაკლი (თუმცა, ბაბუად მეუთენოდან!) და უმეტესად, ბატონი ირაკლი! ახლაც ყურწი ჩამესმის მისი გამორჩეული ბუზუნა და გრუხუნა ხმა. მე თუ მკითხავთ, არაფერს ისე არ უხდებოდა ჩემი გრუხუნით საუბარი, როგორც მას (ან როგორ ვაკადრებ „ნმა-ჩაწვეტილს“?) დღეს მისი დაბადების დღის გამო არა, ჩვენი მისდამი მადლიერების ნიშნად, ან, უფრო სწორად, ჩვენი მისდამი უმადურობის გამოსწორების ნიშნად, იქნებ ვიფიქროთ, რომ ბატონი ირაკლი

დავამკვიდროთ მთაწმინდის პანთეონში. ეს აზრი დიდი ხანია ტრიალებს და იქნებ გადაწყდეს! ჩვენ გვჭირდება ეს და არა მას! იმედი მაქვს, ამით კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება გადადგმული სამართლიანობისკენ, ეროვნული მადლიერებისკენ, კეთილი მესხიერებისკენ!“ - წერს სიამაშვილი.
ბატონი ზაზას მოსაზრებას უფრო მტკიცეს ხდის უკრაინაში მოღვაწე ცნობილი ქართველი პოეტის რაულ ნილანავას თვალსაზრისი დიდ ქართველ პოეტთან დაკავშირებით, რომელიც მან სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა სათაურით: „ირაკლი აბაშიძე იყო ქართველი კაცის იდეალური ფიზიკური განსახიერება“.
„1983 წლის მარტში შევჩენკოს დღეებზე კიევში ჩამოფრინდა ირაკლი აბაშიძე. ბორისპოლის აეროპორტში დავხვდი პოეტები ბორის ოლეინიკი, ლეონიდ პორლაჩი და მე. სტუმარმა სასტუმრომდე მიკოლა ბუაჩის მონახულება ისურვა და ჩვენც პირდაპირ მის ბინას მივადექით. ჩვენ გავხდით მოწვენი ორი დიდი შემოქმედის ამალგაგებელი შეხვედრისა, რომელიც მეგობრულ სუფრაზე ხანგრძლივი საუბრებითა და მოგონებებით დამთავრდა. მეორე დღეს, როცა კიევის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გამოსვლისას ბატონმა ირაკლიმ ბრძანა, მე დღეს ერთადერთი ვარ ცოცხალთაგან, ვინც 1939 წლის ამ დროს კანეში კობზარის საფლაგთან თავდახრილი იდგაო, დარბაზში ტაშმა იქუხა. დიახ, ირაკლი აბაშიძე იყო არა მარტო დიდი მოღვაწე და შემოქმედი, არამედ ქართველი კაცის იდეალური ფიზიკური განსახიერება“, - წერს ნილანავა.
იქნებ მართლაც აღდგეს ისტორიული სამართლიანობა და დადებითად გადაწყდეს სულმნათი ირაკლი აბაშიძის მთაწმინდა გადასვენების საქონიხი?!

„საკეისროდ გამოხატული ქალის ახლად ამოპარსული სარცხვინელი“ რეზო ამაშუკელი სერბი კაპანაძეს ახალ მითსახელს არქმევს

პოეტი რეზო ამაშუკელი, ამჯერად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი – სერბი კაპანაძეს არქმევს მეტსახელს და მას საკეისროდ გამოხატული ქალის ახლად ამოპარსული სარცხვინელი უწოდებს.

„ჯოჯოხეთს რომ გეპირდებოდა, ეგ იდიოტი, საკეისროდ გამოხატული ქალის ახლად ამოპარსული სარცხვინელი არ ჰგავს“ – აცხადებს ამაშუკელი „ჯორჯიან თაიმსთან“ საუბარში და სხვა პოლიტიკოსებსაც არ აკლებს ქილიკს. მაგალითად, რომან გოცირიძეს – უღვაშიან ქათამს უწოდებს, მიხეილ სააკაშვილს კი – ჭყლი პინა, ქალის პორმონებით გაქეპვილი, საროსკიპოდან გაგდებული ბოზანდარას.

გთავაზობთ რეზო ამაშუკელის მიერ პოლიტიკოსებისთვის (და არა მარტო) შერქმეული მეტსახელების სიას:

მიხეილ სააკაშვილი – ჭყლი პინა, ქალის პორმონებით გაქეპვილი „გარეკილ პირველი“ (ახლანდელი მდგომარეობით) – საროსკიპოდან გაგდებული ბოზანდარა; გიორგი მარგველაშვილი – „კარაღვება მარგო“, მთავარ-სარდელი, ბიოციტერნა; ნუგზარ წიკლაური – ურო, სახალადეცე დორის თავი;

აკაკი ბობოხიძე – ხონელი ჟირინოვსკი; გივი თარგამაძე – რაქიტინი პედოფილი რომელსაც პირი არ აქვს და მინც ლაპარაკობს;

ნათუნა გოგორიშვილი – „ანჟელიკა“-ს ჯუჯა, ლაბაბიანი გოდორი;

გიგა ბოკერია – თვალმოჭუტული ჰებელსი, მაძღარი პითონი, გასაჯვრებულ გამზადებული ბაყაყი;

გიგა ბოკერიას ცოლი (ნანა ალექსანდრიას რძალი) – მანგუსტი;

აკაკი მინაშვილი – ჯოხზე წამოცმული ცხენის თავი;

ზურაბ ჭიაბერაშვილი – ფრანგული ბუდდოგი;

გიორგი ახვლედიანი – „ნასოსით“ გაბერილი;

ირმა ნადირაშვილი – ანტიბაქტერიული რეკლამის მოხტუნავე ჯოჯო;

ეკა ხერხეულიძე – გაჭყვლეტილი გომბეშო;

ზურაბ ადგიშვილი – წრუწუნა;

კახა ლომია – მეფისტოფელი;

შოთა უტიაშვილი – ლამანტინი (ზღვის ძროხა);

ეკა კვესიტაძე – ვენახის კალია; დიმიტრი შაშინი – სააკაშვილის არღის თუთიყუში;

გოგა ონიანი – ახალშობილი ბეჭემოტი; კობა ხაბაზი – ხაბოხი;

ნიორა თაქთაქიშვილი – წვერე-ბამოუპუტავი ბოლოქანქარა;

გიორგი თარგამაძე – ჰალსტუხიანი ხელიკი, უჰალსტუხოდ – შადიმანი;

შოთა მალაშხია – ბაკინიდან ამომხტარი კუ;

პავლე კუბლაშვილი – მოლაპარაკე თავი;

კოტე კუბლაშვილი – მარსიანელი; გრიგოლ ვაშაძე – უღვაშიანი „ტარაკან პრუსაკი“, ნინო ანანიაშვილზე გათხოვილი; გიორგი ვაშაძე – ეკოლოგიურ კატასტროფაში მოყოლილი მახუთიანი ფრინველი;

გოგა ხაჩიძე – შოკოლადით პირმოდუდნული მედლოგი;

გია ნოღია – საავადმყოფოდან სულნოების გამტანი ქალი;

დავით ბაქრაძე – ნაზამთრალი ტურა, ქორწილის „კუკლა“, რომელიც უკინდან იქოქება;

დავით დარჩიაშვილი – ბუხრის ჭუჭყიანი შომპოლი;

თვა თუთუბერიძე – ჯოჯოხეთიდან ამორწყული სიმანინჯე;

გიორგი კანდელაკი – მიტოვებული რკინიგზის სადგურის ტუალეტის ბუხი;

გოგა გაბაშვილი – გველიჭამია ბუ;

კოტე გაბაშვილი – დეზუბერტირების ბაზრის კონტროლიორი;

გურამ ჩახვაძე – მისი დახასიათება პირდაპირ თხოულობს რითმას: ბლანჟიანი ჩახვაძე, თანახმა არის ჩახვაძე;

ლევან ბერძენიშვილი – დედბერი, დანეტული გომბეშო;

დავით ბერძენიშვილი – გალაპარაკის ვარანი;

დიანა ტრაპაიძე – კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

თენა გეგელია – დასაპეპლად გამოკიდებულ მამალს გამოქცეული გაწუწული ქათამი;

შადვა ნათელაშვილი – ნათელა შადვოენა, შიშველი ვალოდია ჯინჭარაძე;

პაატა ბურჭულაძე – თმაშედებილი ოსტაპ ბენდერი;

ნათუნა ლაგაზიძე – ბროლის ბუ;

მარინა ბერიძე – ქართული ესტრადის „მამაშა“, შავი ობობა ტარანტული;

პაატა ზაქარეიშვილი – გადაქოქილი პატეფონი;

ზურაბ ჯაფარიძე – ლოყებშეწითლე-ბული გოჭი გატრუსული წამწამებით;

ურს ნანუაშვილი – კაბუკის თეატრის ნიდაბი;

პაპუნა დავითაია – ბოსხის ტილოდან გადმოსული მოჩვენება;

გია თორთლაძე – დაჭმულული ქალადლი; თამაზ კვაჭანტირაძე – ყველა დროის გარეწარი;

ლადო გურგენიძე – „გლაზოკში“ დანახული;

ალექსანდრე ხეთაგური – ჯიბის ფანარი;

ზაალ სამადაშვილი – მანგი;

დავით კოვჩირიძე – „ფეხშიძე კაცი“; ირაკლი ვაჭარაძე – პედერასტების გენერალი;

სემონ მახარაშვილი – ყვავის ბუდიდან გადმოვარდნილი ბახალა;

დავით პაიჭაძე – რეზინის ვენტილატორი, რომელსაც ბუდას ქანდაკებაზე დიდი ყურები აქვს;

ლევან რამიშვილი – შავი ალბინოსი; ლაშა ბაქრაძე – თამარ ჩერგოლეიშვილის ილღის მატლი;

ფიქრია ჩხრაძე – „ბატი ტასიკო“; გიორგი პაპუაშვილი – ყასაბი;

რომან გოცირიძე – უღვაშიანი ქათამი; იულიან გავროსიძე – ტუტანჯამონის თანაკლასელი;

სერგი კაპანაძე – წვერებიანი ბეკეკა; რინარდ ნორლანდი – ობოლი ბავშვების დედინაცვალი;

ალექო ელისაშვილი – თრიალეთის კოდალა;

ლევან თარხნიშვილი – ავსტრალიელი აბორიგენი, რომელსაც გვერდით კენგურუ აკლია, ხოლო ილღიაში ამორილი სპილოს ძვალი;

ვანტანგ ხმალაძე – ფანქარზე წამოცმული საშლელი;

დავით ზურაბიშვილი – ჩოლახა ჟოფრე; თინა ხიდაშელი – გაკაპასებული დედაკაცი;

დავით უსუფაშვილი – ბანაკიდან გამოქცეული პიონერი;

მიშა თავხელიძე – იქედნეს მწვანე კვერცხი;

ნიკა ჩიტაძე – თავქვასანაყა;

ბექა მინდიაშვილი – აფრიკული დორი;

მამუკა კაციტაძე – მინდერის ბუ;

ეკა ხოფერია – ულუ ყანე;

თამარ კორძია – განწინილი;

მეგი გოცირიძე – დედა დორი;

სალომე სამადაშვილი – ცხვირმოჭრილი მური;

თინა ბოკუჩავა – გუტაპერჩის იხვი;

ეკა გიგაური – ვანო მერაბიშვილის კაპიტანი მონდლოური ყვრიმალეებით;

ნინო ლომჯარია – ბულტერიერი;

ელენე ხოშტარია – მხარბუჯიანი ვაშკაცი;

ბაია პატარაია – ოფოფი;

პაატა შამუგია – სამტრედიელი ქორთოა ქათამი;

ირაკლი ალასანია – ხალეზიანი ირემი;

ქეთა გაბიანი – არყით გათხლეშილი;

რატი ამადლობელი – „პრანჯ მაროსი“;

ზაზა ბიბილაშვილი – ბიბილოიანი „პეტუხი“;

თემურ იაკობაშვილი – მაცივრების ბარიკა, ნაციონალების „ყარაბას-ბარაბასი“;

ნიკა გვარამია – პედერასტების მამაშა, წითელტუფლებიანი სამხრეთაფრიკული პინგვინი;

დუტა სხირტლაძე – სააკოვის საყურთანი შიბაქი;

სერგი გვარჯალაძე – კრეატიული კრეტინი;

გია ჯაჯანიძე – კრუხის პალე;

ნინო ჟიჟილაშვილი – გამხმარი ყვავი;

კოტე თოლორაია – გატყავებული ციფვი;

დავით კიკალიშვილი – „კონტაპრუწა“;

თენგიზ გოგოტიშვილი – ოფისის „დვარნიაშკა“;

მაია ასათიანი – „რუსთავი 2“-ის რწყილი;

გოგი გვანახარია – თმაშედებილი საჭურისი;

გიორგი გაბუნია – ლამბერ-ფანტომასი, კონნიტა ჯულიეტონა;

ნანუკა შორჭოლიანი – „რუსთავი 2“-ის ოლეგ პოპოვი;

აკაკი გოგინაიშვილი – ცნობილი „პეტუხი“;

საკაშვილის ელიტა – უწინგური ბოზე-ბი და წიგნიერი პედერასტები;

ერთიანი ნაციონალურ მოძრაობაში კლანური გავლენებისთვის ბრძოლა გიგა ბოკერიასა და მიხეილ სააკაშვილის შორის მწვავე დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ნაციონალურ მოძრაობაში შიდა დაპირისპირება გრძელდება. აქტიურად მიმდინარეობს ბრძოლა გიგა ბოკერიას და სააკაშვილის ე.წ. ფლანგს შორის. როგორც საინფორმაციო სააგენტო „მარშალბრეს“ პარტიის წევრებთან დაახლოებულმა წყარომ განუცხადა გიგა ბოკერია ლიდერობისთვის იბრძვის და მიხეილ სააკაშვილისთვის პარტიის ჩამოსართმევად ძალდონეს არ იშურებს.

ამისთვის კი იგი რეგიონულ აქტივთან ინტენსიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს და მათ ვადმობირებას ცდილობს. როგორც ჩვენი წყარო აცხადებს, ბოკერიას ფრთის წარმომადგენლები, აკაკი ბობოხიძე და მიხეილ მაჭავარიანი გიგა ბოკერიას დაჯალბებით საქართველოს ყველა რეგიონში ჩადიან, ხვდებიან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს და კოორდინატორებს და პარტიული ყრილობისთვის გიგა ბოკერიას კლანის მხარდასაჭერად ამზადებენ.

ბობოხიძე და მაჭავარიანი რეგიონებში, შეხვედრაზე მისულ ნაც.მოძრაობის მხარდამჭერებს ეუბნებიან, რომ მიხეილ სააკაშვილი წარსულს ჩაბარდა და რეალურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთადერთი ლიდერი გიგა ბოკერიაა.

ბოკერიას წარგზავნილი 358-ის ლიდერები, პარტიულ აქტივისტებს ურჩევენ ერთგულება გამოხატონ მათი ახალი ლიდერის, გიგა ბოკერიას მიმართ და დაეხმარონ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კლანური დაპირისპირების თემა „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობაში“ ახალი არ არის, შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილიც ანალოგიური მეთოდებით ცდილობს მისი მეტოქის, გიგა ბოკერიას ჩამოშორებას. სწორედ ამას ადასტურებს უკრაინულ და ქართულ მედიასაშუალებებში გასულ კვირას გავრცელებული ინფორმაცია, მიხეილ სააკაშვილისა და აკო მინაშვილის შეხვედრისა და იმ გეგმის შესახებ, რომლის მიხედვითაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობა უნდა ჩაიშალოს.

ტერორიზმი აფეთქავდა გიგა ბოკერიას დაჯალბებით აკაკი ბობოხიძე და მიხეილ მაჭავარიანი რეგიონებში სააკაშვილის მხარდამჭერებს იბიკებენ

მარტვილის კანიონის მიმდებარე თანამედროვე ავტოსადგომი ეწყობა

მარტვილის კანიონის მიმდებარე თანამედროვე სტანდარტების ავტოსადგომი შენდება. ავტოსადგომი გათვლილია 150 მსუბუქ ავტომობილზე და 50 ავტობუსზე. პროექტის ფარგლებში, ასევე მოეწყობა ღია პავილიონები, მოსაცდელი ბლოკი, სუვენირების ფარდულები, გარე განათებები და სველი წერტილები.

მარტვილის კანიონთან ახალი ავტოსადგომის პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონიდან და მარტვილის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 340.000 ლარია. სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „არქეოპოლისი“ ახორციელებს.

სამშენებლო სამუშაოებზე 60 ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული.

აქამდე მარტვილის კანიონთან პარკირების არარსებობის გამო პრობლემები ექმნებოდათ ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებს.

მარტვილში კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურა 2016 წელს მოეწყო.





მოსწავლეების შეთავაზება სოფელს ტყის გადასარჩენად



40 წლის წინ, თეთრი აგური ნაგები სკოლის შენობა სიტყვითაა ჩაფლული. ეზო ტყე-პარკივითაა, ფოთლები ხაღინად გეგება. ორსართულიანი შენობის ფასადი იმდენად მოწვრივებულია, რომ ინტერიერის მიმზიდველობის მოლოდინი კარის შეღებისთანავე გაქრება. ხის იატაკის დიდი ნაწილი გაცვეთილია და საცერს ჰგავს, კედლებს ბათქაში აქა-იქ შერჩა, და სიცივე, რომელსაც შეშის დუმილიც კი ვერ გაათბობს. ეს ზუგდიდის სოფელ ორულუს საჯარო სკოლაა, რომლის მოსწავლეებმა შეშის ალტერნატივის დანერგვაზე ფიქრი ცივი საკლასო ოთახებიდან დაიწყეს და სოფელს დიდ პრეზენტაციას გააცნეს. თავდაპირველად სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც ჯერ „ეკო-ქილს გრუპი“ ჩამოაყალიბეს, სოფელი გამოკითხეს და გაიგეს, თუ რა ოდენობის შეშას მოიხმარს კომლი ზამთარში. გაირკვა, რომ ორულუს წლიურად 9000 კუბურ მეტრ შეშას მოიხმარს, რაც ნიშნავს, რომ სოფელს უმოკლეს პერიოდში ტყე აღარ ექნება. „ეკო-ქილს გრუპის“ წევრებმა ჯგუფურად მუშაობის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ სოფელს გათბობის ალტერნატიულ წყაროდ – ბრიკეტი შეთავაზონ. ამის შემდეგ, კლუბის წევრებმა ერთ-ერთ საკლასო ოთახში კონფერენცია მოაწვეეს და სოფლის მოსახლეობა მოიწვიეს.

კლუბის ლიდერმა გიული წურჭუშიამ თანასოფლელებს ბრიკეტის მომზადების წესები გააცნო: „ეს ძალიან მარტივია. საჭიროა ფოთლები, ტოტები, სიმინდის ღერო, უნდა მოხდეს ამის დანაწევრება და დაპრესვა და მიიღება ბრიკეტი“, – ამბობს მეთუერთმეტე კლასელი ბიჭი. მისმა თანაკლასელმა ქეთევან ოთხოზორიამ თქვა, რომ ცოტა ხანში მოამზადებენ ბროშურებს, სადაც ბრიკეტის მომზადების წესებს შეიტანენ და სოფელში დაარიგებენ. „ჩვენ გვცდებით, რომ დავიაროთ მთელი სოფელი. დავურიგოთ მათ ბრიკეტის მომზადების შესახებ ბროშურები და ავუხსნათ ხალხს, რომ მისი მომზადება არც ისე რთულია. მონდომებით ყველაფრის გაკეთება შეიძლება“, – ამბობს „ეკო-ქილს გრუპის“ წევრი. კლუბის ხელმძღვანელი და სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ია თოდუა განმარტავს, რომ გარემოს დაცვის მიზნით სხვადასხვა აქტივობა სკოლის უფროსკლასელებმა მას შემდეგ დაიწყეს, რაც კაკასის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა (CENN) – გამოაცხადა კონკურსი სკოლებში ნიუ კეცხოველის სახელობის პრიზის მოსაპოვებლად. „როცა შემოვიტანე ეს იდეა მაღალ კლასებში, დავიწყეთ პირველივე პროექტზე მუშაობა, რომელიც მოიცავდა კვლევას, გათბობის ძირითად წყაროებზე განვხორციელებული ბევრი სხვა აქტივობა, სკოლის ეზოში მოვარგოვეთ ფოთლები და გავაკეთეთ კომპოსტი. დავრგეთ ხეები. ზოგადად, გარემოს დაცვა დიდ ძალისხმევას და შრომას მოითხოვს, მაგრამ თუ ყველა ერთად მოეინდომებო, ეს პროცესი იქნება მართლაც და ვიცხოვრებთ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში“, – ამბობს ია თოდუა. კონფერენციიდან გამოსულმა სოფლის მცხოვრებმა ენვერ გეჯაიამ „ლაივპრესს“ უთხრა, რომ შეთავაზებული გათბობის ალტერნატიული წყაროს შესახებ ინფორმაცია საინტერესო იყო. „ერთი მეორეს ეტყვის, მეორე სხვას, ასე გავრცელდება მთელ სოფელში ეს ამბავი და არ იქნება ხეების უსაფუძვლო ჭრა“.

ნანა ხუზუბია

გაყალბებულთან წლები მუშაობდით! – მიმართვა ბურჯანაძეს

“არ მასხენდება, იმ პერიოდში, როცა მართლა ტოტალურად ყალბებოდა არჩევნები, თქვენ რაიმე სახის კრიტიკული განცხადება გაგეკეთებინათ. უფრო მეტიც, თქვენ ბოლომდე „აპრავედით“ „ნაციონალების“ ამაზრზხნა და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს!“, – უფლებადამცველი ინგა ბერიკაშვილი „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერს ნინო ბურჯანაძეს მიმართავს: „ქალბატონ ნინოს (ბურჯანაძეს) ვუსმინე გრიგოლის გადაცემაში და რამდენჯერმე ახსენა, რომ ბიძინამ აღიარა გაყალბებო! დიხ, ქალბატონ ნინო, გაყალბების დედა გოგორიშვილი და მამა – მაჭავარიანი, რომელთაც თქვენ წლები მუშაობდით და ერთ გუნდს წარმოადგენდით და არა მგონია თქვენთვის გაუგებარი იყოს თუ როგორ გაყალბეს და მიითვისეს „ოცნების“ ხმები და არა თქვენნი ხმები! ასევე, მინდა შეგახსენოთ ის ფაქტიც, რომ, როდესაც სააკაშვილი ამხინჯვება ქვეყნის კონსტიტუციას, თქვენც დიდი როლი გაქვთ მიღებული! არანაირი მორალური უფლება არ გაქვთ 7 ნოემბრის მოვლენების „გამპრავედელ“ ადამიანს ბიძინა აკრიტიკოთ. ორჯერ იყავით პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და უამრავი პატიმრის წერილი შემოდიოდა თქვენს სახელზე, რომელიც შევლას გთხოვდნენ. მაგრამ არც მაშინ არ მასხენდება თქვენი კრიტიკული განცხადება ან ქმედითი ნაბიჯები!!! ხალხს კარგი მესხიერება აქვს და იმასაც გეტყვით, რომ 26 მაისის სისხლიანი დამე მარტო ნაციონალების მიერ ჩადენილი დანაშაული არაა – თქვენც ხართ დამნაშავე, რადგან იცოდით, რომ იმ დამეს სასტიკად დაგვარებდნენ და ზუსტად ვიცი – გუნდში გეხვეწებოდნენ, რომ ხალხი დაგეშალათ. თქვენ კი თქვენი პოლიტიკური ამბიციის უფრო წინ დააყენეთ და მიზეზი მიეცით მანაკ სააკაშვილს, რომ სისხლი დაედევარ! ძალზე მტკივნეულ თემასაც შეეხები – ქართველი გმირ დედის ირინა ენუქიძის მცდელობას თქვენთან შეხვედრის და დახმარების, მაგრამ არც მაშინ გამოვიჩინეთ თავი სხვისი ტვივილის გაზიარებით ან თანადგომით! დღეს საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას საფრთხედ აფასებთ იმ დროს, როდესაც მონსტრების ხელში მყოფი ეს უმრავლესობა არასოდეს არ გაგიპროტესტებიათ!!! დრო ყველაფერს თავის ადგილს უნებს და ხალხი არასოდეს არ ივიწყებს თქვენს მიერ დაშვებულ უპატივებულ შეცდომებს! დღეს ქვეყანაში არის ძალა, რომელიც გზას უხსნის ახალგაზრდებს ყველა მიმართულებით და დროა უკვე ქართულ პოლიტიკაში მომზადდეს ნიადაგი ახალი სახეების შემოსასხველად და ვინც წლების მანძილზე ისხედით თბილ საგარბლებში დაივიწყეთ ამ საგარბლების არსებობა და მონახოთ საკუთარი საქმე!!! საქართველოში უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელთაც შეუძლიათ თავისი სიტყვა თქვან ქვეყნის განვითარების გზაზე!!!“, – ნათქვამია ბერიკაშვილის განცხადებაში.

28 ნოემბრიდან შობის მარხვა დაიწყო

28 ნოემბრიდან მორწმუნეებისთვის შობის მარხვა დაიწყო. შესაბამისად, ის დღე მორწმუნეებისთვის შობის მარხვის აღებაა. საშობაო მარხვა 40 დღე გაგრძელდება და 7 იანვარს, უფლის შობის დღესასწაულზე დასრულდება. მარხვა მორწმუნეებს უფლის შობის დღესასწაულისთვის ამზადებს. ტრადიციულად, შობის მარხვის დროს, 25 დეკემბრამდე მორწმუნეებს, ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა, კვირის სხვა დღეებში, თევზის მიღება შეეძლებათ. 25 დეკემბრიდან 7 იანვრამდე კი მარხვა ჩვეულებრივ გაგრძელდება. შესაძლოა, გამონაკლისი პირველ იანვარს გაკეთდეს და კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევის შემთხვევაში, მმარხველები თევზის მიღებას შეძლებენ. წმინდა სახარების მიხედვით, უფალი იესო ქრისტე, სულიწმინდის მადლით ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისგან, უდიდესი თავმდაბლობის ნიშნად, ბეთლემში, გამოქვაბულში იშვა, სადაც მწყემსები უამინდობისას საქონელს აფარებდნენ. განკაცებული უფლის შობა იქ მყოფ მწყემსებს უფლის ანგელოზებმა ახარეს. პირველად მათ იხილეს მაცხოვარი. უფრო მოგვიანებით ბეთლემში აღმოსავლეთიდან მოგვებიც მივიდნენ, რომლებიც იქ უჩვეულოდ მოკაშკაშე ვარსკვლავმა მიიყვანა. მათ ახალშობილ მაცხოვარს ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური მიართვეს.



როლის დატოვებენ ციხეს საქართველოს ყველაზე ცნობილი პატიმრები



ე.წ. მატროსოვის ციხეში ყოფილი ხელისუფლების რამდენიმე მაღალჩინოსანი იხდის სასჯელს. ამჯერად დაინტერესდით, სასჯელების გათვალისწინებით, რამდენ წელიწადში დატოვებენ ციხეს საქართველოს ყველაზე ცნობილი პატიმრები: ქალაქ თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა, ქვეყნის თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩანა ახალაია, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი და მისი ყოფილი მოადგილე შოთა ხიზანიშვილი. შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე შოთა ხიზანიშვილი ერთადერთია, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მაღალჩინოსნებიდან საპატიმროს ყველაზე ადრე დატოვებს. ის 2012 წელს „ქართული ოცნების“ ლიდერების უკანონო მოსმენის საქმეში სასამართლომ დამნაშავედ სცნო და 2016 წლის 28 ივნისს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. შოთა ხიზანიშვილს სასამართლო განხილვების მიმდინარეობისას წინასწარი პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული, თუმცა დაახლოებით ორთვიანი პატიმრობის შემდეგ, მას აღკვეთის ღონისძიება პატიმრობით შეეცვალა და განაჩენს თავისუფლებაზე ელოდებოდა. კანონის თანახმად, პირს მსჯავრის მოხდის ვადაში ეთულება ის პერიოდიც, რომელიც მან წინასწარ პატიმრობაში გაატარა.

აქედან გამომდინარე, შოთა ხიზანიშვილს საპატიმრო ვადის დაახლოებით 6 თვე უკვე მოხდილი აქვს და ერთი წლის შემდეგ შს მინისტრის ყოფილი მოადგილე საპატიმროს დატოვებს, რადგან მის წინააღმდეგ რაიმე სხვა საქმე აღძრული არაა. სხვა ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის საპატიმროს დატოვების ყველაზე სწრაფი საშუალება პრეზიდენტის შეწყვეტებაა, რომელსაც, აშკარაა, რომ გიორგი მარგველაშვილი არ აპირებს. სხვა შემთხვევაში თბილისის ყოფილ მერს, გიგი უგულავას, თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიას და შს ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილს, მინიმუმ 4-წლიანი სასჯელის მოხდა მოუწევთ. მაგალითად თბილისის ყოფილ მერს, გიგი უგულავას „თბილსერვის ჯგუფის“ საქმეზე 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 2015 წლის 18 სექტემბერს მიესაჯა. მიუხედავად იმისა, რომ უგულავამ პატიმრობის 1 წელი უკვე მოიხადა, მის წინააღმდეგ სასამართლოში კიდევ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე განიხილება, რომელზეცაც საგვებით შესაძლოა, რომ გამამტყუნებელი განაჩენი დადგეს. საქმეებს შორისაა 2007 წლის 7 ნოემბრისა და ტელეკომპანია „იმედის“ საქმეები. ამ ეტაპზე მხოლოდ ე.წ. ნავთლუდის სპეცოპერაციის საქმეზე იხდის სასჯელს თავდაცვის ყოფილი მინისტრი და სასჯელადსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ბაჩანა ახალაია. მას 2014 წლის 22 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ამჟამად, ახალაიას 5 წელი და 6 თვე დარჩა მოსახდელი, თუმცა გიგი უგულავას მსგავსად, ახალაიას წინააღმდეგ სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში ორი საქმე აქვს წარმართული, რომელზეც შესაძლოა გამამტყუნებელი განაჩენი დადგეს. აღსანიშნავია, რომ ახალაიას წინააღმდეგ კიდევ ერთი გამამტყუნებელი

ლი განაჩენია დამდგარი, თუმცა ის მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაჩენის გამოტანიდან რამდენიმე დღეში შეიწყალა. რამდენიმე საქმეზე კი ბაჩო ახალაია გამართლდა და სახელმწიფო ბრალდებას ზემდგომ ინსტანციებში მოუწვევს თავდაცვის ყოფილი მინისტრის დანაშაულის დამტკიცება. ყველაზე მეტი გამამტყუნებელი განაჩენი შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის შემთხვევაშია დამდგარი. მას 4 საქმეზე – 3 წლით; 4 წლითა და 6 თვით; 5 წლით; 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი. არის კიდევ რამდენიმე საქმე, რომელზეც ვანო მერაბიშვილთან მიმართებაში განაჩენი ჯერ არ დამდგარა და სასამართლო განხილვები მიმდინარეობს. ამავე ციხეში თორმეტწლიან სასჯელს იხდის ძალოვანი უწყების კიდევ ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი ირაკლი ფირცხალავა, რომელსაც სასამართლომ გამამტყუნებელი ვერდიქტი ე.წ. „კორტების სპეცოპერაციის“ საქმეზე გამოუტანა. რაც შეეხება იმ მაღალჩინოსნებს, ვისაც რამდენიმე მსჯავრი აქვთ დადებული: კანონის თანახმად მათთვის პატიმრობის საბოლოო ვადის განსაზღვრაში სასჯელის შთანთქმის პრინციპი მოქმედებს და პატიმრობის საბოლოო ვადა მას შემდეგ განისაზღვრება, რაც ყველა საქმეზე გამოტანილი განაჩენი კანონიერ ძალაში შევა. შთანთქმის პრინციპი მაღალი სასჯელის მიერ, მცირე სასჯელის შთანთქმას გულისხმობს. ასევე აღსანიშნავია, რომ პატიმრობის საბოლოო ვადის განსაზღვრისას, გათვალისწინებულია არა ამნისტიის შედეგად შეფარდებული პატიმრობის წლები, არამედ ამნისტიის შესახებ კანონის გამოყენებამდე, მოსამართლის მიერ განსაზღვრული პატიმრობის ვადა. **თორნიკე კოშტაძე, AMBEBI.GE**

ვეიკებ ბაბუას — სანქციატორბურბელი კასი მთელ საიბრელოში კარდაკარ დაღის და ქართული ბაბუის კვალს დაეძებს

“ჩემმა ჯარის მეგობარმა თემურმა ინტერნეტში მოძებნა და მომწერა, — შენ ის არკადი არ ხარ, ჩემთან რომ იყო ჯარ-შიო?”



2 წელიწადია, რაც სამეგრელოს სოფლებში სიმპათიური უცხოელი ბაბუას დაეძებს — დედის მამას, ვლადიმერ ჯალაღონიას. მისი დანახვა ძალიან ახარებთ და ერთმანეთს გადასახებენ ხოლმე — ის კაცი ჩამოსულა, ბაბუას რომ დაეძებსო. ალბათ ჰგონიათ, სტუმარმა ქართული არ იცის. არკადი ჩემმა კი ქართული სიტყვები ჯერ კიდევ 41 წლის წინ ისწავლა, თუმცა, მაშინ ძალიან ახალგაზრდას არც მოგზაურობის შესაძლებლობა ჰქონდა და არც დრო. დღეს კი ყოფილ პოლიციის ოფიცერს, როცა სანქტ-პეტერბურგში თითქმის ყველაფერი აქვს, დაკარგული ფესვების პოვნა უნდა — თავისთვის, თავის ძმის და თავისი ვაჟების გამო. არკადი ჩემი ქართველი მეგობარმა თემურ ცხველიანმა რედაქციაში მოიყვანა, — მთელი საქართველო გეითხულობთ და ეგებ ეს ამბავი ვინმეს ეცნოსო.

თემურ ცხველიანი: — 41 წლის წინ საბჭოთა არმიაში გამიწვიეს. ლენინგრადთან ახლოს მოვხვდი. ჩვენს სამხედრო ნაწილში ლენინგრადელი ბიჭებიც იყვნენ, მე და არკადი ერთმანეთს მაშინვე დავეუახლოვით. ერთხელ ფეხბურთის თამაშის შემდეგ არკადიმ გეტხოვა, — რომელიმე ქართული სიტყვა მასწავლეთო. ერთმა ჩვენგანმა იკვირებო — აბა, “ბაყაყი წყალში ყიყინებს” თქვიო. ამ ფრაზას რუსები სასაცილოდ გამოთქვამენ ხოლმე, არკადიმ კი ენაგაუტყუებლად წარმოთქვა. ავუშარდიო — მაგ სიტყვების წარმოთქმაში ალბათ ნავარჯიშევი იყავი, ან ვინმე ქართველი გყავს ოჯახშიო. იფიცებოდა, არც ქართველი ახლობელი მყავს და ეს

სიტყვებიც დღეს პირველად მოვისმინეო. არკადი ჩემი: — მართლა ასე იყო. მეც კი გაცოცხლებული დავრჩი. მერე დედას მივწერე, — ჯარში ქართველი ბიჭები ქართულს მასწავლიან. ლაპარაკი რომ კარგად გამომივიდა, გაუკვირდათ-მეთქი. მიპასუხა, — იმიტომ გამოგივიდა, რომ ქართველი ბაბუა გყავდა, მამაჩემი ქართველი იყო. ასე გავიგე ქართველი ბაბუის ამბავი და იმასაც მივხვდი, რატომ მინდოდა ქართველებთან დაახლოება, განსაკუთრებით — თემურთან. თემური მღეროდა, ხელში სულ გიტარა ეჭირა და თითქოს ეს გიტარაც მეძახდა, — იმდერეო. ასე ვისწავლე გიტარაზე სიმღერაც. სხვათა შორის, ჩემი ვაჟიც მღერის და კარგადაც.

— დედამ რატომ არ გითხრათ ბაბუის შესახებ?

— არც ერთ ბლოკადაგატანილ ლენინგრადელს არ უყვარს იმ დღეების გახსენება — საშინელ ტკივილს აყენებს. დედაჩემისთვის მამის დაკარგვაც ამ ტკივილთან იყო დაკავშირებული. ჯარი რომ მოვიღე, დედამ ყველაფერი მიაძმო. თითქოს თავიდან ზღაპარივით ყოფილა... ლენინგრადში ერთ ღამეს გოგოს შეუყვარდა ღამაში ქართველი ბიჭი, ვლადიმერ ჯალაღონია (ალბათ ეს იყო 1934-35 წლები). დაქორწინდნენ და 2 ღამაში გოგონაც შეეძინათ — დედაჩემი ვლადიმერა და ლილია. ვლადიმერა ბაბუას დედაჩემისთვის ვლადიმერ ლენინის პატივსაცემად დაურქმევია, რადგან მის იდეებს სულითა და გულით იზიარებდა. ბებიანიმეც ქმრის გვარზე გადასულა და ნატალია ჯალაღონია გამხდარა. დედას ასოვს, რომ ერთხელ მათთან ლენინგრადში მამამისის ძმაც ყოფილა სტუმრად — შავგურეშანი, მამაჩემისაგან განსხვავებით, მხესავით თმა ჰქონდაო...

უკანასკნელად დედამ ბაბუაჩემი მაშინ ნახა, როცა ის ომში გაიწვიეს. ამ დროს საქართველოში ყოფილა და იქიდან გაუწვევიათ. მაგრამ ცოლ-შვილთან ჩასვლა და გამომშვიდობება მოუხერხებია. დედას ასოვდა, სამხედრო ფარაჯში გამოწვობილ მამას როგორ აუყვანია ხელში და გულში ჩაუკრავს...

მას მერე ბაბუაჩემი გაქრა. ლენინგრადი კი ბლოკადაში მოექცა. ამ ჯოჯოხეთმა შევიწირა დედაჩემის უმცროსი და ლილია — ის შიმშილით მოკვდა... ბებიანიმეც 6 წლის დედაჩემს ხელი დაავლო და აღეშა

მორტყმული ლენინგრადიდან როგორღაც გააღწია ქალაქ უფაში, სადაც ბებიანიმეც, ნატალია ჯალაღონიამ, გვარი გამოიცვალა. გვარი გამოიცვალა დედაჩემსაც...

— რატომ?

— არ ვიცი. დედამაც არ იცოდა, რატომ... ბებიანიმეც უფაშივე გარდაიცვალა, როცა დედა 11 წლის იყო (ავადმყოფობით). უკვე დღეითაც დაობლებული დედაჩემი გასაზრდელად კვლავ ლენინგრადში დააბრუნეს ნათესავებმა...

სავარაუდოდ, ბაბუა ომში მოკლეს, მაგრამ ცოცხალიც რომ დარჩენილიყო და ცოლ-შვილი მოეკითხა, როგორ უნდა ეპოვა — დედაჩემი და ბებიანიმეც ისე გაიქცნენ ქალაქიდან, მათი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა. ყველა ფოტო და დოკუმენტი კი ლენინგრადის დაბომბვისას სახლთან ერთად დაიფრფლა. მეზობლებიც ან დაიხოცნენ, ან გაიფანტნენ.

ახლა, როცა ბაბუას ნაკვალევის ძებნა დაიწყო, მაინც იმ იმედს ვებღაუჭები — იქნებ გადარჩა, ცოლი კვლავ შეერთო და საქართველოში ნათესავებიც შეაგულეს-მეთქი. დედაჩემი ფიქრობდა, რომ ბაბუაჩემი ლენინგრადში სწავლობდა და სწორედ ამ დროს გაიცნო ბებიანიმეც. თუმცა ისიც შესაძლოა, რომ რახან ბაბუა ლენინის იდოლოვას ემხრობოდა, ის პარტიული მუშაკიც ყოფილიყო და საქართველოს ბოლშევიკურ მთავრობას პარტიულ სამუშაოზე გამოეშვა ლენინგრადში. ამიტომ ვლადიმერ ჯალაღონია თბილისის არქივშიც მოიკითხე. სამწუხაროდ, ეს დოკუმენტაცია თბილისის ომისას დამწვარა...

მოკლედ, რაც ჩემი წარმომავლობა გავიგე, თავს პაერში გამოკიდებულივით ვგრძობდი, აქამდე ბევრი რამ მიშლიდა ხელს საქართველოში ჩამოსაღწევად. ჩემს ასაკში კი უფრო მეტად ფიქრობ ცხოვრებაზე, — ვინ ვარ, საიდან მოვდივარო, ნათესავების პოვნა ჩემს ძმასაც უნდა... სულ ერთი ბიჭი მეყო, რომ საქართველოში წამოვსულიყავი, — ჩემმა ჯარის მეგობარმა თემურმა ინტერნეტში 2014 წელს მოძებნა და მომწერა, — შენ ის არკადი არ ხარ, ჩემთან რომ იყავი ჯარში? უკვე მორეჯერ ჩამოვედი და მთელ საქართველოში დავეძებ იმ ქვეყნად წასული ვლადიმერ ჯალაღონიების შთამომავლებს. ამისთვის ომის დროს სამომო საფლაკებზე დაკრძალული ვლადიმერ ჯალაღონიებიც კი გამოვიკვლიე. მოკლედ,

ვიპოვი რომელიმე ვლადიმერ ჯალაღონიას ოჯახს, მივადგები ჭიშკართან, შევადგებ კარს იმ იმედით, იქნებ იქ ჩემი სისხლი და ხორცი ცხოვრობს, მაგრამ ამოდ...

მთელი მსოფლიო მაქვს შემოვლილი, სად აღარ მივლია, ჩემს სანქტ-პეტერბურგზეც მიტყუამს, ყველაზე სტუმართმოყვარე ქალაქია-მეთქი, მაგრამ საქართველოსთან ვერავინ მოვა. სადაც კი ფეხს შევდგამ, მთელი სოფელი ბაბუაჩემის ძებნაში ერთვება; ნათესავიდან ნათესავებში დამატარებენ. რომელ ღობესაც უნდა მივადგე, შინ მეპატიუებიან, ისეთ სუფრას შლიან, რომ უხერხულობისაგან აღარ ვიცი, რა ვქნა; ამ ბოლო ჩამოსვლაზე ზუგდიდში სულ გამოვხვდი, — ბაბუის საძებნელად რომ ჩამოხვალ აწი, ჩვენთან იცხოვრე, ჩვენ გაპოვინებთ ბაბუაშენსო. იმედი მაქვს — მაპოვინებენ. როგორ დავიჯერო, ჯალაღონიების იმ შტოდან არავინ იყოს ცოცხალი, ვისაც ბაბუაჩემი და მისი ამბავი ეხსომება? საქართველოში წინაპრების ამბები ასე ადვილად ხომ არ იკარგება, — როცა სამეგრელოს სოფლებში კარდაკარ დავეივარ, ამას ვგრძობ. და კიდევ ერთი: ახლა



გამომგზავრებისას ცოლმა მითხრა, — შენ უკვე ბაბუაშენის მოსაძებნად კი არა, საქართველოში მიდიხარო. იქნებ ასეც არის, მაგრამ ნათესავების პოვნა ჩემი ოცნებაა და ყველას ვთხოვთ, ამ ოცნების ახდენაში დამეხმარეთ.

— ბაბუაჩემის ნაკვალევი მაპოვინეთ — გვითხრა გამომშვიდობებისას არკადი ჩემი. აუცილებლად დაგეხმარებით-მეთქი, — დაეპირდი და ჯარის მეგობართან ერთად გულანუყვებულმა გავაცილე.

მჯერა, რომ ვაპოვინებთ, — გენი გენს ყოველთვის ვთხოვლობს, სხვანაირად არც ამჯერად იქნება.

თემურ მრამი

ანანაურის ყორღანის 4400-წლიანი საიდუმლო

“4400 წლის არის, ანანაურის ყორღანში სამარხი რომ გავთხარეთ, მიწაზე გაბნეული დაგვიხვდა. როგორც ჩანს, როცა სამარხი ჩაინგრა, კენკრა ჭურჭლიდან გადმოცვივდა.”

“ანანაურის ყორღანშიც 7 ადამიანის ჩონჩხია, მაგრამ ეს ყორღანი სხვა მხრივ არის საინტერესო — ცოცხალი ხილითა და ორი უზარმაზარი ეტლით”

როგორ ფიქრობ, ეს ონტოლოფა რა ხნის იქნება? — მკითხა ერთხელ მუზეუმის არქეოლოგიური ცენტრის უფროსმა ზურაბ მახარაძემ და კომპიუტერის ეკრანი ჩემკენ შემოატრიალა, სადაც მიწაზე გაბნეული შემოქმადარი ნარინჯისფერი ონტოლოფა ეყარა.

— ალბათ რამდენიმე დღის, — ვუთხარი მე. — ძალიან სასარგებლო ნაყოფია და საქართველოში ყველგან არის გავრცელებული.

— ზუსტად 4400 წლის არის, ანანაურის ყორღანში სამარხი რომ გავთხარეთ, მიწაზე გაბნეული დაგვიხვდა. როგორც ჩანს, როცა სამარხი ჩაინგრა, კენკრა ჭურჭლიდან გადმოცვივდა. დარბილებული იყო, თორემ ისე გამოიყურებოდა, ექსპედიციის წევრმა გემოს გასინჯვაც სცადა, — მომიგო ბატონმა ზურაბმა.

— ვისი იყო ყორღანი, ვისგან დაგვრჩა ეს საოცრება?

— ყორღანები ტომის ბელადების, წარჩინებულებისაა. როცა მათ მარხავდნენ, ზემოდან ისეთ მიწაყრილს ადგამდნენ, უზარმაზარი გორები იქმნებოდა. ამით ცდილობდნენ, თავიანთი ბელადი დაეცვათ. თუმცა ყორღანები, ეგვიპტის პირამიდებისა არ იყოს, თითქმის ყველგან გაძარცვულია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მათ დაკრძალვის ცერემონიალის მონაწილენი ძარცვავდნენ, თორემ საუკუნეების შემდეგ ვინ იცოდა, გორების სიღრმეში რა იყო?

ანანაურის ყორღანზე ორი გვირაბია. ესე იგი, ყორღანი ორჯერ გაძარცვეს. ეტყობა, იმდენი ოქროსფერობა იყო, რომ გატანისას სამი უძვირფასესი ნივთი დაუვარდათ. სხვათა შორის, ალაზნის ველის ყორღანებში ნაპოვნი ოქროს ღოძი და პექტორალი სწორედ ქურდობის შემდეგ დარჩენილი “ნამცვრილია”... ბრინჯაოს ხანაში ადგილობრივ მოსახლეობას დიდძალი სიმდიდრე ჰქონდა და გრძობდნენ და ტომის ბელადებს საფლაკში აურაცხელ განსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს ატანდნენ მსახურებთან ერთად. ცნობილი არ არის, ამ საბრალდებებს ხოცავდნენ თუ ცოცხლად მარხავდნენ. ზოგ კვლევაში ბელადებს ათეულობით მეომარს აყოლებდნენ, რომლებიც სამარხებში გაშეშებული “სხედან”. ვარაუდობენ, რომ დამარხვის

წინ ადამიანებს რაღაც ნივთიერებით აბრუებდნენ... ანანაურის ყორღანშიც 7 ადამიანის ჩონჩხია, მაგრამ ეს ყორღანი სხვა მხრივ არის საინტერესო — ცოცხალი ხილითა და ორი უზარმაზარი ეტლით, რაც სხვაგან არსად გვხვდება. ქსოვილი და ხილი თითქმის პირვანდელი სახით არის შემონახული.

ეს ყორღანი სწორედ იმ დროს შენდებოდა, როცა ეგვიპტელები პირამიდებს აგებდნენ. ჩვენი ყორღანები პირამიდების დიდებული არ არის, რადგან ეგვიპტე ამ დროს ძლიერი სახელმწიფო იყო, მაგრამ არც სხვაზე ნაკლებია, შუამდინარეთის ცივილიზაციის დონეზე დგას. თანაც ამ ყორღანების მასშტაბები ან თავად დადიოდნენ მთელ მსოფლიოში, ანდა აქ სხვები ჩამოდიოდნენ — ჩვენთან ქარვა არ მოიპოვება, ანანაურის ყორღანში კი ქარვის მივი ინდოეთიდან ან ბალტიისპირეთიდან თუ მოხვდებოდა. სამარხში შადი და სელიც აღმოჩნდა. აკლდამა გადასურულია ორმაგი მუხის მორებით, რომელთა შორის სელის ფარდავი იყო ჩატანგული. ხის კალათებში კი თხილი და წაბლი ეყარა, გულიც კი აქვე შემორჩენილი. ონტოლოფასა და კვრინის ნახვა მრავლისმნახველი არქეოლოგებისთვისაც საოცრება იყო: ღამის 5 ათასწლეულის წინანდელი ონ-

ტოლოფა ისეთია, თითქოს გუშინ მოწვეტესო. ამ სასწაულის ჩვენამდე მოტანა, გარდა თხისისა, თავლმაც შეძლო. როცა ონტოლოფას ჩვენს ლაბორატორიაში სინჯავდნენ, ისეთი თაფლის სუნის დატრიალდა, ხალხი გააბრუა...

— ყორღანში ჩაყოლებულ ორ ეტლზეც ბრძანეთ...

— ეს ძალიან დიდი ეტლებია, ბორბლები მეტრ-ნახევარი დიამეტრისაა. წყისსამებრ, ყორღანში თითო მიცვალებულია. ანანაურის ყორღანში კი ერთი ეტლი მამაკაცისაა, მეორე — ქალის. მათთან ერთად 14 წლის ყმაწვილი ესვენა. იქნებ ოჯახი რაიმე უბედურებამ ამოწვივდა და ამიტომ დაკრძალეს ერთად.

ჩვენ მსოფლიოს თანამედროვე ლაბორატორიებში ვვსავით საკვლევ მასალას. ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი გარემოდან იღებს და ატარებს რადიაციას, რომელიც ორგანიზმში მის სიკვდილამდე რჩება. ის ორგანიზმიდან სიკვდილის დადგომისთანავე იწყებს გასვლას. ამის მიხედვით დგინდება არქეოლოგიური ორგანიზმების ასაკი. ასე დადგინდა იმ ბიჭის ასაკიც...

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყველაფერი წარმავალია, სინამდვილეში კი არაფერი ქრება და მარადიულობაშივე რჩება.

მ. თეთრაძე

პატრიარქმა პაატა ბურჭულაძე მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობას ჩამოაშორა



„ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ პაატა ბურჭულაძე მახათას მთაზე მიმდინარე ტაძრის მშენებლობას ჩამოაშორა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, უწმინდესმა მსოფლიო ბანი საპატრიარქოში დაიბარა და ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის პროცესში რამე ტიპის მონაწილეობა კატეგორიულად აუკრძალა. რა გახდა ამის მიზეზი – პოლიტიკა თუ ფინანსები, ამაზე ჯერჯერობით არც ერთი მხარე არ საუბრობს. საპატრიარქოში აცხადებენ, რომ პოლიტიკაში მოსვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდანვე, მსოფლიო ბანი ტაძრის მშენებლობის პროცესს, ისედაც, ლოკურად ჩამოშორდა ანუ, შესაძლოა, ამ გადაწყვეტილების მიზეზი ბურჭულაძის პოლიტიკური ამბიციებია, თუმცა „ვერსიას“ კონფიდენციალური წყარო სხვა ვერსიასაც ესაუბრება – მისი თქმით, პატრიარქის ამ გადაწყვეტილების მიზეზი მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობისთვის განკუთვნილი ფინანსების, რომლის ნაწილიც გაპოლიტიკოსებულმა ბანმა წინასწარჩვევით კამპანიისთვის გამოიყენა. მიუხედავად ამისა, ბურჭულაძესა და მის პარტიას დავალიანება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, უხვად დაუგროვდა და როგორც „ვერსიის“ წყარო

ამტკიცებს, მისი „გაუჩინარების“ მიზეზიც სწორედ ესაა. ჩვენთვის ისიც ცნობილი გახდა, რომ მოსკოვში ვიზიტის დასრულების შემდეგ, უწმინდესი განცხადებას გაავრცელებს და არაა გამორიცხული, ყველაფერს ფარდა ახადოს, მანამდე კი „ვერსია“ შეეცადა, წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია გადაემოწმებინა და ისიც გაერკვია, სად არის ამჟამად ბურჭულაძე ან აპირებს თუ არა მომავალში პოლიტიკურ აქტიურობას: ინფორმაციის გადასამოწმებლად, თავდაპირველად, საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსს, მამა დავით შარაშენიძეს დაუკავშირდით. იგი მოკლე პასუხით შემოიფარგლა – არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ, გვითხრა და ტელეფონი გათიშა. მოგვიანებით, საპატრიარქოს წარმომადგენელს ვესაუბრეთ, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, თუმცა განგვიმარტა: „როცა პაატა ბურჭულაძემ გააკეთა განცხადება ახალი პარტიის „სახელმწიფო ხალხისთვის“ შექმნის შესახებ, იურიდიულად ავტომატურად გაემიჯნა ორივე ფონდს – „იანანასა“ და „ივერიას“. 17 დეკემბერს დიდი ღონისძიება იგეგმება მახათას მთაზე, მანამდე საპატრიარქო გააკეთებს განცხადებას ამასთან დაკავშირებით. მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობისთვის, თანხებს ადამიანები და ორგანიზაციები საბანკო ანგარიშზე რიცხავენ, ხელზე ფულის ადებენ ან ხდება, საბანკო შემოსავალს აკონტროლებს სამეთვალყურეო საბჭო და თანხა მიზანმიმართულად იხარჯება. პაატა ბურჭულაძეს ამ ფინანსებთან შეხება არ აქვს“. გახდა თუ არა ფინანსები პატრიარქის გადაწყვეტილების მიზეზი, დრო გვითხრობს, ის კი ნამდვილად ცნობილია, რომ ზოგადად ფული, პაატა ბურჭულაძეს და მის პარტიას „აქტილევსის ქუსლად“ ექცა – პარტიას არაერთი პიროვნების დავალიანება აქვს, რასაც ბურჭულაძის თანამებრძოლებიც ადასტურებენ. სხვათა შორის, „ვერსიის“ ინფორმაციით, ბურჭულაძე

სწორედ ამ „ვალს“ გაექცა და თანაც ისე შორს – ქვეყანა დატოვა“. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, უდიდეს დარჩენილ პარტიაში ფინანსურ პრობლემებს, ოფისიდან ინვენტარისა და ნივთების გაყიდვით „ებრძვიან“ – არც ისე დიდი ხნის წინ გვითხრეს, „სახელმწიფო ხალხისთვის“ ოფისიდან მაგიდებს, სკამებს, კომპიუტერებს, პრინტერებს და ქოთნით ყველაფერსაც კი ყიდიანო. ამ ინფორმაციების გვადსამოწმებლად და იმის გასარკვევად, სად არის ბურჭულაძე, რომელიც არჩევნების შემდეგ დაგვიბრდა, ორ კვირაში ახალ სამოქმედო გეგმას გაგაცნობთ“, „ვერსია“ პარტიის წარმომადგენელს, ტარიელ ჭულუხაძეს დაუკავშირდა: – ბატონო ტარიელ, პარტიაში დღეს რა ვითარებაა? – ისევე რებრენდინგის პროცესში ვართ. ალბათ, მალე დასრულდება ეს პროცესი და საჯარო განცხადებას გავაკეთებთ. ვალაგებთ ყველაფერს. უახლოეს მომავალში მოვაგვარებთ იმ გამოწვევებს, რაც პარტიას ჰქონდა და შემდეგ, ყველაფერს გავეგებებთ საზოგადოებას. – „ვერსიის“ ინფორმაციით, პაატა ბურჭულაძე ქვეყნიდან წავიდა. სად არის ამჟამად მსოფლიო ბანი და პარტიის წევრებთან თუ აქვს ურთიერთობა? – რამდენიმე დღით იყო საზღვარგარეთ წასული. 14 ნოემბერს ჩამოვიდა საქართველოში და ჩვეულებრივ, პარტიის თავმჯდომარეა. – ადასტურებთ, რომ პარტიას ფინანსური დავალიანებები აქვს? – ვაღიარებთ, პარტიას აქვს დავალიანებები, რასაც აუცილებლად გავისტუმრებთ. – როგორ გაისტუმრებთ? მართალია, რომ პარტიის ოფისიდან ტექნიკა და საოფისე ინვენტარი იყიდება? – სწორედ იმაზე ვმუშაობთ, რესურსები მოვიძიოთ. რაც შეეხება, ოფისიდან ინვენტარისა და ნივთების გაყიდვას, დიას,

გაერცვლდა ეს ინფორმაცია. მოვიდა კიდევ რამდენიმე ადამიანი, მაგრამ არაფერი განსაკუთრებული არ იყიდება. თავისთავად არის რაღაც ინვენტარი, რაც გაიყიდება, მაგრამ ეს ოფიციალურად გააკოვდება, ტენდერით გამოცხადდება. – თუ პარტია ისევ აპირებს ფუნქციონირებას, საოფისე ინვენტარს რატომ ყიდიო? – უბრალოდ, არის გარკვეული ნივთები, რაც არ იქნება საჭირო პარტიისთვის. შესაძლოა, იმ რაოდენობის ოფისი, რაც დღეს გვაქვს საქართველოში, აღარ დაგვჭირდეს. სწორედ ამაზე ვმუშაობთ, რომ გავერკვეთ, რა გვჭირდება და რა – არა. ამ ნივთებს ხომ არ გადავიყიდოთ? გამოვცხადებთ ტენდერს და გაყვიდით. – პარლამენტსავე დარჩენილი პარტიები გაერთიანებებს ქმნიან. თქვენი პარტია რომელიმე მათგანში შესაძლოა ვინილოთ? – არა, ჯერჯერობით მხოლოდ პარტიის შიდა სამუშაოები მიმდინარეობს და ასეთ კონსულტაციებში არ ვმონაწილეობთ. – უკვე გააანალიზეთ, პარტიამ ასეთი კრახი რატომ განიცადა? – როგორც კი დამთავრდება პარტიის რეორგანიზაცია, ამ ყველაფერზე საჯაროდ გავაკეთებ განცხადებას. – პაატა ბურჭულაძის მიმართ საჩივარი ხომ არ შემოსულა რომელიმე დაზარალებულის მხრიდან? – პირადად, პაატა ბურჭულაძის მიმართ ვერანაირად ვერ შემოვა საჩივარი. თუ რამე დავალიანება გვაქვს, პარტიისაა. ჩვენ ვაღიარებთ ამ დავალიანებებს და ვამბობთ, რომ ყველა ვალს გავისტუმრებთ. – ბოლო ინფორმაციით, პატრიარქმა პაატა ბურჭულაძე მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობას ფინანსების გამო ჩამოაშორა. ადასტურებთ ამ ინფორმაციას? – პირველად მესმის მსგავსი რამ. სავარაუდოდ, ჭორი იქნება.

მეგრული ენის ვიდეოგაკვეთილები ინტერნეტში


მეგრული ენის შესწავლით დაინტერესებულნი ინტერნეტში ნახავთ ვიდეოგაკვეთილებს, სადაც ფორუმების, ანიმაციების ნახატების საშუალებით, კონკრეტული მოქმედება ასახული, ან საგნები, ქართული შესატყვისით. ინტერნეტში სულ 32 გაკვეთილია სახელწოდებით – „ვისწავლოთ მეგრული ენა“. ინიციატივა ზუგდიდის მცხოვრებ გიგა ქავთარაძეს ეკუთვნის, რომელმაც მეგრული ვიკიპედია შექმნა. „ვიდეოები თავიდან ბოლომდე ჩემი გაკვეთილებია. არის სხვადასხვა ენების შემსწავლელი პროგრამა როზეტა სტოუნის. იქიდან დაგსკრინე სურათები. ვთარგმნე მოცემული ტექსტები მეგრულად და ხმაც ჩემი ადევს. თავიდან ცოტა მიჭირდა, რადგან პროგრამაში ვერ ვერკვეოდი, სხვადასხვა პროგრამით ვცდილობდი ამის გაკეთებას. მერე გავაუმჯობესე, თუმცა მაინც სამოყვარულოდ დონეზეა. არაფერ არ მემარბოდა და ეს ხარისხსაც ეტყობა“, – უთხრა „ლაივპრესს“ გიგა ქავთარაძემ. მისი თქმით, მოქმედებს „ფფისბუკ“ გვერდი – „მარგალური ნინა – მეგრული ენა“, რომლის ადმინისტრატორიც თავად არის. გვერდს საკმაოდ ბევრი მითხვრილი ჰყავს. განმარტავს, რომ ამ ადამიანების მხრიდან იყო დაინტერესება, შეესწავლათ მეგრული ენა, რისთვისაც შესაბამის მასალას ითხოვდნენ. გადაწყვიტა მოემზადებინა ვიდეოგაკვეთილები, რაც ერთ-ერთი კომპონენტი იქნებოდა. გაკვეთილები განკუთვნილია მოქალაქეებისთვის, რომლებიც ცუდად, ან საერთოდ ვერ ფლობენ ენას, ამასთან, არა მხოლოდ მეგრულებისთვის, არამედ სხვა კუთხის წარმომადგენლებისთვისაც. ამბობს, რომ ყველაფერი თავად გააკეთა, ყოველგვარი ფინანსების გარეშე. მას კიდევ აქვს რამდენიმე ვიდეოგაკვეთილი, რომელსაც ხმის დადება და სოცქსელში ატვირთვა სჭირდება, თუმცა საქმიანობა ამ კუთხით 2015 წლის შემდეგ აღარ გაუგრძელებია: „გამონხაზურება მქონდა საკმაოდ. ძალიან ბევრმა მოიწონა. უფრო მეტ დაინტერესებასაც ალბათ ველოდი, ან შევატყვევებ, რომ ამით მაინც და მაინც ბევრს ვერაფერს გაგაკეთებდი. არ არის საკმარისი ენთუზიასტის ღონეზე გაკეთ-

ბული. ჩემი აზრით ეს ვიდეოები მაინც ვერ მოგვეცემს სერიოზულ შედეგს. ალბათ უფრო კომპლექტური ადამიანების მხრიდან უნდა გაკეთდეს რამე ისეთი“. ფინანსების მოძიებაზე არ უფიქრია რამდენიმე მიზეზის გამო. მიანია, რომ დაწყებული საქმიანობის უფრო ეფექტურად გაგრძელება არც არავის ინტერესის საგანია. მეორე მხრივ ამბობს – როცა მსგავსი გეგმის განხორციელებლად ფულს ითხოვ, საზოგადოებაში ჩნდება არაერთგვაროვანი წარმოდგენები და დამოკიდებულება: „იარლიყებუე“, „სეპარატიზმე“. „ასეთ დროს ყოველთვის არის იარლიყების მიწებება... შიში არ მინდა დაგარქვა, უბრალოდ, როცა ამ საქმიანობის თანხას ითხოვ, შეიძლება მართლაც არ იყოს კარგი საქციელი. ის ადამიანი, რომელიც აფინანსებს ამ ყველაფერს, მიწერილი უნდა იყოს ნაწარმოებზე. ჩვენი მისამართით ხშირად გამოითქმებოდა ეჭვი, რომ რუსეთი გვაფინანსებს. ამ დროს სახლში ვცდილობდი ჩემთვის რაღაცებს. რამდენიმე წელია უკვე შევეშვი ყველაფერს, იმიტომ კი არა, რომ იარლიყების მეშინია, არასასიამოვნო შეგრძენებას ტოვებს ეს და შედეგიც არ არის ისეთი, რომ გაავრცელო ბრძოლა. თუმცა მაინც მეგონა, რომ უნდა გააკეთო ის, რაც სწორი გგონია“. მეგრული ენის ვიდეოგაკვეთილების მომზადების ერთ-ერთი მიზეზი თავად ამ ენასთან დაკავშირებული პრობლემებიც იყო, რომ მას განვითარება და შენარჩუნება სჭირდება. გიგა ქავთარაძის თქმით, ქართული ენის დასაცავად მნიშვნელოვანი კომპონენტი ქართველურ ენებზე – მეგრულ-ლაზურ-სვანურ ენებზე ხრუნვა, რასაც სამოქალაქო ენთუზიაზმზე გაცილებით მეტი სჭირდება. „მეგრულ-ლაზურ-სვანური იუნესკოს მიერ მიჩნეულია გადაშენების პირას მყოფ ენებად. ხუთი წელი ვცდილობდი მეგრულ ენაზე რაღაც გამეკეთებინა. ვთარგმნიდი, მეგრული ვიკიპედია შეექმენით. რაც შეგვეძლო ენთუზიასტების ღონეზე, ყველაფერი გაგაკეთეთ. ახლა სხვა დონეზე უნდა გაავრცელდეს მუშაობა“, – გვითხრა ვიდეოგაკვეთილების ავტორმა.

ეკატერინე ჭავჭავაძის მარაო, რომელიც საუკუნეებს ითვლის

სამეგრელოს უკანასკნელი დედოფლის, ეკატერინე ჭავჭავაძის მარაო, რომელიც საჯაროდ XVIII საუკუნის ბოლოს XIX-ე საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს დამზადებული, ხელოვნების სასახლემ შეიძინა. მარაო სამეგრელოს დედოფალს მასზე შეყვარებულმა ესპანელმა პერცოგმა აჩუქა. სასახლის მეცნიერ-თანამშრომელი ლალი ხოსიტაშვილი ამბობს, რომ პეტერბურგში, როცა პერცოგმა დედოფალს მარაო აჩუქა, ის უკვე იყო 100 წელს და მანამდე ეკუთვნოდა ვინმე დიდგვაროვან ქალბატონს, ელჩის დედას. „ადამიანი, ჩვენ ვისვანაც შევიძინეთ ეს ნივთი, გვიყვება, რომ ეს ამბავი მამანემმა უამბო მწერალ სერგეი ტილბაისო, რომელიც ამ დროს მუშაობდა რომანზე „ეკატერინე ჭავჭავაძე“. ძალიან მოწონებია ეს ამბავი და გამოუყენებია კიდევაც რომანში“, – ამბობს ლალი ხოსიტაშვილი. თუ რამდენად და ვისვან შეისყიდა მოვერცხელი-მოთქრული მარაო ხელოვნების სასახლემ – უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მარაო კერძო პირისგან შეიძინეს. ნივთს თან ახლდა ხელნაწერი დოკუმენტი, სადაც მარაოს ისტორიაზე მოთხრობილი. გადმოცემის მიხედვით, მარაო სამეგრელოს დედოფალს საქართველოში წამოუტანა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი სახლთუხუცესს ივანე ჩიქოვანის ქალიშვილისთვის უჩუქნია. მას შემდეგ ის, როგორც ოჯახის რელიქვია

თაობებს მეგვიდრობით გადაეცემოდა. „მარაო თერამეტი ე.წ. კბილანასაგან შედგება, რომელზეც ქაღალდის ეკრანია გადაკრული, ეკრანი მთლიანად მოხატულია, წინა მხარეს შეყვარებული წყვილი ზის, რომელთაც თავზე კუპილონი დასტრიალებენ. მეორე მხარეს კი ესპანურ სამოსში გამოწყობილი მამაკაცი (იქნებ პერცოგი?) ქალებს ემუსაიფება, ეკრანის მეორე მხარეს სხვა სცენაა. აქ საგანგებოდ მოწყობილ ხის მოედანზე მაიმუნია დაბმული. მარაოს ეკრანი ორივე მხარეს დიდი ოსტატობითაა მოხატული. იგივე შეგვიძლია ვთქვათ გასაშლელ კბილანებზე. სადაფით შესრულებული ეს ჯოხები მოჩუქურთმებულია ღრმა კვეთით და შემდეგ მოვერცხელილი მოთქრულია. ყველაფერი იმაზე მითითებს, რომ აღნიშნული ნივთი თავიდანვე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადამიანისთვის მომზადდა და ის დაბადებისთანავე ბრწყინვალე ხელოვნების ნიმუში იყო“, – აცხადებენ ხელოვნების სასახლეში. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი, ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილი ეკატერინე ჭავჭავაძე 1839 წელს ცოლად გაჰყვა სამეგრელოს მთავრის მეგვიდროს დავით ლევანის ძე დადიანს. გადმოცემის თანახმად, ის აქტიურად მონაწილეობდა სამთავროს მართვაში.



თამარ ზანთარაია

